



ԱՐԿԱՆԱՆԱԼԻ ԿԲՈՎՅԱ



მითი ათრახასისის შესახებ წარმოადგენს წარლვნის უძველეს ვერსიას. შუმერული წარლვნის გმირი ათრახასისი ბიბლიური ნოეს პროტოტიპად გვევლინება. მას, როგორც რჩეულს, ღვთაება ენქი ამცნობს ღმერთების გადაწყვეტილებას წარლვნის მოვლინების შესახებ და ასწავლის ათრახასისს, როგორ გადაარჩინოს კაცთა მოდგმა.

სერია მომზადებულია არსებულ ლურსმულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგიის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ღამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები



ამჟანების ჩაზრდები

თავდაპირველად ღმერთებმა შექმნეს სამყარო.

შემდეგ შექმნეს ხმელეთი, რათა იქ მოსავალი მოსულიყო.

შემდეგ შექმნეს ორი ვეებერთელა მდინარე — ზემო და ქვემო თიამათი.

შემდეგ შექმნეს კაცთა მოდგმა, რათა მათ ღმერთებისათვის ემსახურათ და მათთვის ძლვენი მიერთმიათ.

ადამიანები ორ მდინარეს შუა დაცხოვრდნენ. აგებდნენ სახლებს, მუშაობდნენ ყანაში, მოჰყავდათ მოსავალი. ღმერთებს ძლვენს სწირავდნენ და ამით მათ გულს იგებდნენ.

გამოხდა ხანი. ხალხის რიცხვი დღითიდღე მატულობდა. გამრავლდა საქონელი, გაიზარდა მოსავალი, გაშენდა ქალაქები. აბუბუნდა სამყარო.

დედამიწის ხმაურმა მალე ღმერთ ენლილამდე მიაღწია. შენუხდა მბრძანებელი, ძილი დაუფრთხა. ნეტავ, რა უფლებით მირღვევენ სიმშვიდეს, ისინი ხომ ჩვენს მსახურებად გაგვიჩენია, ამდენს როგორ ბედავენო.



განრისხდა და ღმერთებს თავისი მრისხანების მიზეზი ამცნო. მაშინ შეიკრიბნენ ცისა და მიწის მბრძანებლები და თათბირი გამართეს. ბჭობდნენ, რა მოვუხერხოთ ამ ამბავს, რაც უფრო მრავლდება ადამიანთა მოდგმა, ხმაურიც მით უფრო მატულობს. მალე ალბათ მოსვენება აღარ გვექნება. როგორმე მათი რიცხვის შემცირება უნდა მოვახერხოთო.

ბოლოს ენლილმა თქვა: — ისევ მე მოვუვლი ამ ამბავსო. ადგა და დახმარებისათვის ქვესკნელის მბრძანებელს — ნამთარს მიმართა: — დიდო მბრძანებელო, იქნებ მოახერხო და ადამიანთა რიცხვი შეამცირო, მათი ხმაურით მოსვენება აღარ მაქვსო.

ნამთარმა შავი ჭირი მოუვლინა ქვეყანას. უბედურება დატრიალდა დედამიწაზე, აურაცხელი ხალხი დაიხოცა — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა.

ღმერთ ენქის გული მოუკლა ადამიანთა საცოდაობამ. გადაწყვიტა, როგორმე ეშველა მათვის.

მაშინ ადამიანთაგან ერთი წარჩინებული დიდგვაროვანი გამოარჩია, სახელად ათრახასისი. სიზმრად გამოეცხადა და ასე დაარიგა: ჩემი რჩეული ხარ შენ, ათრახასის! რასაც გეტყვი, კარგად მომისმინე და გამიგონე. წადი, ნამთარის



სამყოფელი მოძებნე და გამომცხვარი პურები მიართვი. ეამება ქვესკნელის მბრძანებელს შესაწირავი, დაინდობს ადამიანთა მოდგმას თავსდამტყდარი უბედურებისგანო.

მართლაც, მიენდო ათრახასისი ენქის რჩევას, დაიტვირთა ძლვენით და ეახლა ნამთარს. გული მოულბა მბრძანებელს, შავი ჭირი აშორა დედამიწას.

გაიხარა კაცთა მოდგმამ, ისევ ძველ ცხოვრებას მიუბრუნდა. კვლავ გამრავლდა ხალხი.

მაგრამ ენლილს მოსვენება მაინც არ მიეცა, მალე ისევ დაერღვა სიმშვიდე, ძილი დაუფრთხა. ახლა ღმერთ ნისაბას მიმართა, რათა გვალვა და შიმშილი მოევლინა ქვეყნისათვის, იქნებ როგორმე შემცირებულიყო ადამიანთა რიცხვი.

მოვიდა ყანებისა და მარცვლეულის ქალღმერთი ნისაბა, გადაწვა ყანები, ხრიოკად აქცია არე-მარე, გააჩანაგა მიდამო. ყანები გადახმა, დაშრა მდინარის კალაპოტი.

საშველი არსაიდან იყო. შიმშილით ამოხდა სული მრავალს, იგივე ბედი ელოდა სხვებსაც.

კვლავ შეეცოდა ენქის ადამიანთა მოდგმა, ხელმეორედ გამოეცხადა



ათრახასისს სიზმრად. ახლა ნისაბას გულის მოგება ურჩია: — ეახლე ნისაბას, თაყვანი ეცი, დაუყვავე, ძლვენი მიართვი, იქნებ იბრუნოს პირი და ადამიანებს განსაცდელი შეუმსუბუქოსო.

ისმინა ათრახასისმა ენქის დარიგება, ხელი დაიმშვენა და ნისაბას ადგილსამყოფელისაკენ გასწია. მივიდა, მიართვა ძლვენი, შესწირა მსხვერპლი.


ესიამოვნა ნისაბას ყურადღება, გვალვა და სიყმილი შეუმსუბუქა ადამიანთა მოდგმას. მოიხმო შხაპუნა წვიმა, მორწყა მინდორ-ველი.

გაიხარა ქვეყანამ, ნელ-ნელა წელში გაიმართა ხალხი, კვლავ თავიანთ საქმეს მიუბრუნდა. ააგეს ახალი სახლები, მოხნეს ყანები, დათესეს ხორბალი. ქვეყანას ძველებური ელფერი დაუბრუნდა, აყვავდა და გამშვენდა არე-მარე.

ისევ აბუბუნდა ხალხი.

ახლა კი განრისხდნენ ღმერთები, დედამიწის ხმაურმა შეაწუხა ისინი, ძილი დაუფრთხათ. — ენლილმა ხალხს ამხელა განსაცდელი მოუვლინა, მაინც არაფერი ეშველა, ბოლო ვერ მოვუღეთ კაცთა მოდგმას, უთუოდ ვინმე დაეხმარა მათ შავი ჭირისა და გვალვის დამარცხებაში, ნამდვილად ლვთის ძალა ურევია რა ვქნათ, რა ვიღონოთო.

¶¶¶¶¶¶¶



გადაწყვიტეს ღმერთებმა, ენლილს გვერდით ამოსდგომოდნენ, რათა საერთო ძალით ემოქმედათ.

ითათბირეს და დაადგინეს — წარლვნა მოევლინათ დედამიწაზე: ზემო და ქვემო თიამათი ერთმანეთს უნდა შერწყმოდა, მთელი ხმელეთი ზღვად უნდა ქცეულიყო. ჭექა-ქუხილის ღმერთს ადადს დაევალა ადამიანთა დამარცხება.

ამის გამგონე ენქი მეტად შეწუხდა. ვერ იმეტებდა ქვეყანას ასეთი დიდი უბედურებისათვის. ეახლა ღმერთებს და განუცხადა: — ცისა და ქვეყნის მპრძანებლებო! რად ვწირავთ ხალხს, რა დააშავეს ისეთი, ჩვენს ქმნილებას ჩვენივე ხელით რომ ვუდებთ ბოლოს. იქნებ დავინდოთ და დავივიწყოთ წყენაო.

გაოგნდნენ ღმერთები: — ენქი, ნუთუ გვინია, ადამიანებს ჩვენი სიმშვიდის დარღვევა ეპატიებათ? როგორ გვიბედავენ ასეთ ურჩობას! არა, მათი დანდობა არას გვარგებს, მოსვენება არასდროს გვექნება! ადად! გადმოადინე შენი წყლები, მეხი და გრგვინვა დაატეხე ყველა ურჩს, დაე, იგრძნონ შენი ძალა და დიდება!

დამწუხრდა ენქი. ღმერთებთან ჭიდილში დამარცხდა და ამიტომ დამწუხრდა. საშველი არ ჩანდა, ადამიანთა მოდგმას გადაშენება ეწერა. წარლვნის მორევა ვერ ძალუძდა კაცომოყვარე ღმერთს.



მიხვდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო. და რადგან მთელი ქვეყნიერების გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა, გადაწყვიტა, როგორმე ერთი კაცი მაინც ეხსნა, გამოეყვანა სამშვიდობოზე, რათა თავიდან გამრავლებულიყო ადამიანთა მოდგმა, ძველი დიდება დაბრუნებოდა სამყაროს.

თავისი რჩეული ათრახასისის შველა არჩია, მისი გაფრთხილება ჩაიდო გულში. მაგრამ ფხიზლობდა, ღმერთებს მისი გულისნადები არ გაეგოთ, კარგ დღეს არ უქადდა ასეთი ურჩობა, შეშინდა — საიდუმლოს გაცემისათვის უთუოდ დაისჯებოდა.


ფარულად იმოქმედა ენქიმ. როცა შებინდდა, ათრახასისის სახლთან მივიდა. ნიავი მოაქროლა, ნიავს თავისი ხმა მოაყოლა და ლერწმის ქოხს ასე მიმართა:

— ჰოი, ლერწამო, ჰოი, სახლის კედელო! მისმინე და კარგად დაიმახსოვრე ჩემი ნათქვამი: — მიატოვე ყველაფერი, დატოვე შენი ავლადიდება, თავს უშველე. ნუ გამოეკიდები ნურაფერს, ნუ დაგწყდება გული, დრო აღარ გაქვს! სახლი დაანგრიე და მისგან ხომალდი ააგე, ჩაჯექ ხომალდში და ჩემკენ გამოსწიე, თავი გადაირჩინე! იჩქარე, თორემ მალე ფრინველთა და თევზთა წვიმა მოგელის. მკაცრია ზეცა, არ დაინდობს კაცთა მოდგმას!





❀❀❀❀❀❀❀



ათრახასისს თავის ქოხში ყურილერწმის კედელზე მიედოდა ენქის ხმასის მენდა. კარგად ვერც კი გაიგო, რას ურჩევდა თავისი მფარველი მბძანებელი, მაგრამ გულისხმას მიენდო, ღმერთის ნათქვამი ენიშნა, მიხვდა, რომ უნდა ეჩქარა.

გათენდა თუ არა, საქმეს შეუდგა. გამოიტანა ცული, ქოხი წამოაქცია და ჩეხვა დაუწყო. მერე შეკრა ლერწმის ტოტები, ერთმანეთს გადააბა. ააგო ხომალდი, რომელსაც არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა, კიდობანს ჰგავდა. სახურავში კი პატარა სარკმელი გაუკეთა, ზეცისთვის თვალის შესავლებად.

გაუკვირდა მუშაობაში გართული ათრახასის შემყურე ხალხს, ნეტავ რა უდევს გულში, რად დაანგრია თავისი სახლი, რად აგებს ხომალდსო. ათრახასისს პასუხი მზად ჰქონდა: — ენქისთან, ჩემს მბრძანებელთან მივეშურები, იქ არის ჩემი სამკვიდრებელიო.

ბოლოს ხომალდიც მზად იყო. ჩქარობდა ათრახასისი, ენქის დარიგება არ ავინწყდებოდა. ყოველი სულიერი ჩასვა იქ — ფრინველი თუ ცხოველი, გარეული თუ შინაური. ბოლოს თავადაც ჩაბრძანდა და ზღვის დინებას მიჰყვა.

დათქმულ უამს ალსდგა ჭექა-ქუხილის ღმერთი ადადი, ღრუბლები შეჰყარა, ხარივით აბუბუნდა, წარღვნა მოუვლინა დედამიწას, ზემო და ქვემო თიამათი





ერთმანეთს შეურია, ხმელეთი წყლით დაფარა. მდინარის ხმაურმა ადამიანთა ხმა ჩაახშო.

ქალაქები წყალმა წალეკა, ხალხი ქვესკნელმა ჩაყლაპა. დუმილმა დაისადგურა ყველგან. გაუკაცრიელდა არე-მარე.

გადმოხედეს ომერთებმა ქვეყანას, საკუთარმა ნამოქმედარმა შეაძრნუნა ისინი. მალე მოშივდათ, მაგრამ ძღვენის მომრთმევი აღარავინ იყო. შეწუხდნენ მბრძანებლები, ინანეს, ენქის რჩევას რომ არ მიჰყვნენ.

დიდხანს, დიდხანს იჯდა ათრახასისი ხომალდში და არსაიდან არსაით მიჰყვებოდა დინებასა და თავის ბედს. წარლვნის დროს აქეთ-იქით აწყდებოდა კედლებს, ტალღები ხომალდს ციბრუტივით ატრიალებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მიწყნარდა და ათრახასისმაც შვებით ამოისუნთქა. ცოტა შეიცადა და ფრინველი გაუშვა ცაში. მალე ფრინველი უკან დაბრუნდა. განაგრძო ცურვა ხომალდმა.

მეორედ გაგზავნა ფრინველი ათრახასისმა, ისიც უკან მიუბრუნდა პატრონს.

გავიდა ხანი და მესამედ გაფრინდა ფრინველი. ახლა კი უკან აღარ დაბრუნებულა იგი. მიხვდა ათრახასისი, ხმელეთი ახლოს უნდა ყოფილიყო.



მართლაც, მალე ხომალდი შეჩერდა. ამდენი მგზავრობისაგან გათანგული ათრახასისი გადმოვიდა, ფეხი დაადგა მიწას. მის წინ უზარმაზარი მთა აღმართულიყო. არავინ ჩანდა გარშემო, სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა. აი, თურმე რას უქადდნენ ღმერთები კაცთა მოდგმას, თურმე რისგან იფარავდა ენქი თავის რჩეულს! ელდა ეცა მგზავრს, სასონარკვეთილება ეწვია, მარტოობის შეეშინდა, მაგრამ მალე გონს მოვიდა. იცოდა, თავისი ღმერთი არ გაწირავდა მას. ცეცხლი დაანთო, მსხვერპლი შესწირა.

ხომალდიდან ყველა სულიერი გადმოიყვანა, დასახლდა ახალ ადგილსა-მყოფელზე, თავიდან დაიწყო ყველაფერი. ნელ-ნელა მოერგო ცხოვრებას, ხორბალი დათესა, ყანა მოხნა. არა, ღმერთებმა კვლავ ვერ მიაღწიეს საწადელს, კაცთა მოდგმა ვერ გააქრეს! ათრახასისმა იცის, როგორ გადარჩეს!

კვლავ გადმოხედეს დამწუხრებულმა ღმერთებმა ქვეყანას და ათრახასისი რომ იხილეს, გულს სიხარული მოეფინათ. იმედის ნაპერწკალმა გაუელვათ — კაცთა მოდგმა კვლავ გამრავლდება, ზეცას კვლავ მიართმევს ძლვენს!

ღრმა სიბერემდე იცოცხლა ათრახასისმა. მრავალი უბედურება გამოიარა, მხრებით ატარა ჭირი თუ ლხინი. მოჰყავდა მოსავალი და ხელდამშვენებული ეახლებოდა ხოლმე ღმერთებს. მისგან ახალი თაობები იშვა, კვლავ გამრავლდა ადამიანთა მოდგმა, აბუბუნდა ქვეყანა.

ბოლოს ათრახასისის გარდაცვალების უამმაც მოაღწია. ღმერთებმა უკვდავება მიანიჭეს ნიშნად ერთგული მსახურებისა და მორჩილებისა. სამუდამო სამყოფელი მან თავისი მბრძანებლის — ენქის მახლობლად ჰპოვა.



|||||

ԱՆԱԿ ԷՆ ՔՅԱՂԵԱ



მითი ინანასა და დუმუზის შესახებ ძვ. წ. III-ი ათასწლეულებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუამდინარეთში. იგი წარმოადგენს ბაბილონის უზენაეს ქალღმერთ იშთარის მითის ძველ შუმერულ ვერსიას. ქალღმერთი ინანა გვხვდება მრავალ მითოლოგიურ ტექსტში. მისი საკულტო ცენტრი იყო მეფე გილგამეშის მშობლიური ქალაქი — ურუქი. ურუქის ტაძარში სრულდებოდა საკულტო ქორნინების წესი ქალაქის ქურუმსა და საღმრთო ქალს შორის, რომლებიც განასახირებდნენ მითოსურ წყვილს — დუმუზისა და ინანას. ცნობილია შუმერულენოვანი ტექსტები, სადაც აღნერილია ინანასა და დუმუზის სასიყვარულო შეხვედრები. ერთიგავრცელებული ვერსიის თანახმად, ინანა თავად არის სატროოს დამღუპველი, ხოლო სხვა ტრადიციით, იგი ქვესკნელში ჩადის დუმუზის გამოსახსნელად.

სერია მომზადებულია არსებულ ლურსმულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგიის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ლამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები



II წერებულებები

ერთ დროს ურუქის სამეფოს განაგებდა ღვთაებათა შთამომავალი და მემკვიდრე, ძლევამოსილი ხელმწიფე. ღვთაებებმა მას მეფური დიდებისა და ღირსების გარდა ისეთი ძალაც უბოძეს, რაც სხვა მოკვდავებს არ ჰქონდათ: იგი სნეულს კურნავდა, ავზნიანს არჯულებდა, გზაპნეულს გზაზე აყენებდა, ბოროტს აკეთილშობილებდა. ერთადერთი, რაც ღვთიურ მადლთაგან მას არ ჰქონდა, უკვდავება იყო. როგორ არ ეცადა ურუქის მბრძანებელი, მაგრამ უკვდავება ვერ მოიპოვა და როცა უამმა უნია, გარდაიცვალა.

დაობლდა ურუქის სამეფო. დაობლდა მეფის მზეთუნახავი ასული ინანაც. ინანას სილამაზე საქვეყნოდიყონგანთქმული. ამბობდნენ, რომ მისი სილამაზით მოხიბლული თვით უთუ-მზე ირცხვენდა და სწორედ ამიტომ ძმად გაეფიცაო დაობლებულ მეფის ასულს. ინანა რომ სასახლიდან ფეხს გამოდგამდა, ქვეყანას შუქი ეფინებოდა, ყვავილი ყვაოდა, ჩიტები გალობდნენ, შვლები კუნტრუშებდნენ, თევზები ხტოდნენ ჩქერებში, ბუნება ხალისობდა. მზეთუნახავ ინანას ერთი წალკოტი ჰქონდა, სადაც მისი საყვარელი ხე — ცარბათუ ხარობდა. ცარბათუ ზამთარ-ზაფხულ ყვაოდა და თანაც უტურფესი ნაყოფით იყო დახუნძლული... დაობლების შემდეგ ინანას მხოლოდ ცარბათუ უქარვებდა სევდას. ყოველ ცისმარე დღეს გამოვიდოდა იგი ბალში, დაბრძანდებოდა ცარბათუს ჩრდილქვეშ და გულს შვება ეძლეოდა.



დღე დღეს მისდევდა, ლამე-ლამეს და დროც გადიოდა. ინანა იზრდებოდა. ასაკთან ერთად სიბრძნე და მშვენება ემატებოდა, მაგრამ მის სევდას არაფერი ეშველა, კვლავ ძველებურად მოწყენილი, გულჩათხრობილი იყო. ინანას მომხიბვლელობა საქვეყნოდ იყო ცნობილი და მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა. ვინ არ სცადა ბედი, ვინ არ ეახლა მეფის ასულს ხელის სათხოვნელად, მაგრამ მისი გული ვერავინ დაიპყრო. ქალს გათხოვებზე ფიქრიც არ უნდოდა. მთელი დღე თავის ნალკოტში ტრიალებდა, უვლიდა ყვავილებს, ეფერებოდა ცარბათუს და სასახლისაკენ არც კი იხედებოდა.

წუხდა სამეფო კარი. ვეზირებმა ითათბირეს და ინანას განუცხადეს:

— მეფის ასულო, სამეფო დაობლდა და პატრონი უნდა. სხვა გზა აღარ არის, უნდა დაემორჩილო სამეფო კარის ნებას და ქმარი უნდა შეირთო. ან შენით აირჩიე საქმრო, ან გაახლებთ ჩვენს რჩეულსო.

დალონდა ინანა, არ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო — სამეფო ვალი გათხოვებას აიძულებდა, გული კი არ ანებებდა... გაიქცა ბალისაკენ, ჩაიმუხლა ცარბათუს ხესთან და გულამოსკვნით აქვითინდა. ხეც თითქოს თანაგრძნობით აშრიალებდა ზურმუხტისფერ ფოთლებს და ყვავილის ნაზ ფურცლებს აყრიდა ინანას. გული რომ იჯერა, ცრემლი შეიშრო მეფის ასულმა და მტკიცე ნაბიჯით სასახლისკენ გასწია. შეკრიბა ვეზირები და განუცხადა: — იყოს ნება თქვენი, ვემორჩილები სამეფო კარის სურვილს, ოღონდ ერთი პირობით — ვიდრე ჩემი ცარბათუ ყვავის და ნაყოფს ისხამს, გათხოვებაზე სიტყვა არავინ დაძრას ჩემთან.



შეშფოთდნენ ვეზირები — ღვთაებრივი ცარბათუ ხომ განუწყვეტლივ ჰყვა-
ოდა, ურუქს კი პატრონი დაუყონებლივ სჭირდებოდა. განსაჯეს, ითათბირეს და
ბოლოს ასე მოიფიქრეს — დაიბარეს ინანას წალკოტის მებაღე — შუქალეთუდა და
უბრძანეს:

— რაც გინდა ის იღონე, ოღონდ ცარბათუ გახმეს და ნაყოფი აღარ მოისხასო.
— იყოს ნება თქვენიო! — მიუგო მებაღემ და ბრძანების შესრულებას შეუდგა.
შუალამით წალკოტში შევიდა, მოჭრა მშვენიერი ცარბათუ და მის ნაცვლად ტურფა,
მაგრამ უნაყოფო ალვის ხე — ხალუბი დარგო.

დილით ადრე მიაშურა თავის წალკოტს ინანამ. მივიდა ხესთან და რას ხე-
დავს: მისი საყვარელი ხე ზურმუხტისფერ ფოთლებს ისევ საამურად აშრიალებს,
მაგრამ აღარც ყვავილი აქვს და აღარც ნაყოფი ასხია. კვლავ ატირდა მშვენიერი
ინანა, მაგრამ ახლა უკვე იმაზე ტიროდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა,
თავისი აღთქმა უნდა შეესრულებინა. დაბრუნდა სასახლეში მეფის ასული, შეკრიბა
ვეზირები და უბრძანა:

— რადგან ცარბათუ ნაყოფს აღარ ისხამს, მეც სათქმელი აღარაფერი მაქვს.
პირობა პირობაა, მე ჩემს მეფურ სიტყვას არ გადავალ. მომგვარეთ სასიძოები და
ერთ-ერთს ამოვირჩევ ქმრად და ურუქის მბრძანებლადო.

ვეზირებმა წვევა დაგზავნეს ოთხივე კუთხით... ზღვა ხალხი მოვიდა მზეთუნახავ
ინანას ხელის სათხოვნელად. ზოგი მეზობელი სამეფოს უფლისწული იყო, ზოგიც



— შორეული ქვეყნებიდან მოსული. ყველა ცდილობდა თავის გამოჩენას და მეფის ასულის გულის მოგებას — მოჰკონდათ ნაირ-ნაირი ძღვენი და შესაწირავი. ინანა ყველას თავაზიანად იღებდა, მაგრამ არავის სწყალობდა, მისი გული უგრძნობი იყო. მაშინ მოვიდა მიწადმოქმედთა მეუფე, ურუქის თვალუნდენელი ყანების მფლობელი ენქიმდუ, პირმშვენიერი, ახოვანი ვაჟუკაცი და მოართვა მეფის ასულს ყოველი ნაყოფი, რასაც მიწა გამოსცემს — ხორბალი, ხილი, სელისაგან მოქსოვილი უზადო სამოსელი და მრავალი სხვა რამ. მოხიბლა ინანა ამ ძღვენმა და თვით მისი მომრთმევის მშვენიერებამ, საამოდ აუძგერდა გული, სახე ვარდისფრად შეეფაკლა და ის იყო, გადაწყვიტა არჩევანი მასზე შეეჩერებინა, რომ ამ დროს გამოჩნდა მწყემსთა ბატონი, სახელოვანი ვაჟუკაცი დუმუზი. მის დანახვაზე სამეფო დარბაზში შეკრებილთ აღტაცების გმინვა აღმოხდათ. ისიც ენქიმდუსავით პირმშვენიერი და ახოვანი იყო და მისი ძღვენიც — არანაკლებ მდიდრული და ნაირფერი.

ყველაფერი იყო აქ, რაც მწყემსებს მოეპოვებათ — ხორცი და ყველი, რძე, ხაჭო და ერბო, ტყავ-კაბები და ნატიფი ფეხსაცმელები...

შეყოყმანდა ინანა. აღარ იცის, რომელი ვაჟუკაცი აირჩიოს მეუღლედ — მიწათმოქმედი ენქიმდუ თუ მწყემსთა ბატონი დუმუზი. ყოყმანში დაელია მთელი დღე მშვენიერ ინანას. ხან ერთი სწონიდა მის გულს და ხან მეორე. მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც ვერა და ვერ გააკეთა. ამ დროს გამოეცხადა მეფის ასულს მისი ნაძმობი უთუ — მზის ღვთაება და აი, რა უთხრა: — ინანა, ვიცი, ამდენმა ფიქრმა





დაგლალა. ისიც ვიცი, პირველად რომ ენქიმდუმ შეაფრთხიალა შენი გული. მა-გრამ ყური უგდე ჩემს რჩევას: ენქიმდუ უბრალო გლეხია — მიწათმოქმედი, დუ-მუზი კი მეფური წარმოშობისაა, წარღვნამდე იგი დიდი სამეფოს მპრძანებელი იყო. ამავ დროს, ნახევრად ღმერთია და ჩვენი დარი და სწორია ყოველნაირად. ერთია მხოლოდ, უკვდავება არა აქვს. გირჩევ, ინანა, იქმრო დუმუზი, შენი ტოლი და სწორი სწორედ ისაა!

მიენდო ინანა უთუს რჩევას და მეორე დილით სამეფო კარის წინაშე საქმროდ დუმუზი გამოაცხადა.

დიდი ქორწილი გაიმართა ურუქის მეფის სასახლეში. მთელი სამეფო ილხენდა. გაიხარა დიდმა დედამ — ნანამ, ბუნების ღვთაებამ. აყვავდა ხეები, აჭიკაჭიკდნენ ჩიტები, ამობიბინდა მწვანე ჯეჯილი...

ცხოვრობდნენ ინანა და დუმუზი ურუქის მეფის სასახლეში და თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ასე გადიოდა დრო და მათ უღრუბლო ყოფას ჩრდილი არსაიდან ადგებოდა.

მალე დუმუზი თავის ძველ საქმეს დაუბრუნდა. რჩეული ცხვრები ჰყავდა დუმუზის. როდესაც ფარას გაშლიდა, გეგონებოდათ, ქათქათა თოვლმა მწვანე ველი დაფარაო. კეთილ მწყემსს ისე უყვარდა თავისი ცხვრები, რომ არათუ დასა-კლავად, მსხვერპლშენირვისთვისაც კი ენანებოდა. როდესაც ღვთაებები თავის კუ-თვნილ წილს ითხოვდნენ, დუმუზი ცხვრებს მიუვალ მთიანეთში გადამალავდა და მსხვერპლად არ სწირავდა.



განრისხდნენ ღვთაებები — როგორ გვიძედავს უბრალო მოკვდავი ასეთ ურჩობას, რას ჰქვია, მსხვერპლს არ გვნირავსო! მაშინ გადაწყვიტეს სამაგალითოდ დაესაჯათ იგი, რომ სხვებსაც ესწავლათ ჭუუა და ურჩობა არ გაებედათ.

ითათბირეს მაღალმა ღვთაებებმა და სასტიკი განაჩენი გამოუტანეს მწყემს დუმუზის. ქვესკნელის მბრძანებელთან — ერეშქიგალთან ჩაგზავნა დაუპირეს. ყველამ კარგად იცოდა, რომ ერეშქიგალის ხელში მოხვედრილი ადამიანი სამზეოს ვეღარასოდეს იხილავდა, მინისქვეშეთში დაიდებდა სამუდამო სამყოფელს...

დუმუზი არხეინად მწყემსავდა თავის ფარას და განსაცდელს ვერ გრძნობდა. ზაფხული იწურებოდა: ველები გადაყვითლდა, ხეებს ფოთოლი ნელ-ნელა დასცვივდა და ქარმა საძოვრებსაც გადაურბინა. მაგრამ მწყემსი და მისი ფარა ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

არც ინანას უგრძნობდა გული ცუდს. ის სასახლეში იყო და მოთმინებით ელოდა საყვარელი მეუღლის დაბრუნებას. უეცრად უთუ გამოეცხადა და ღვთაებათა სასტიკი განაჩენი შეატყობინა — დუმუზის ქვესკნელში ჩასვლა ელისო. შეშფოთდა ინანა. მას ისე შეჰყვარებოდა ქმარი, რომ ვერ წარმოედგინა მასთან სამუდამო განშორება. რატომ, რისთვის? — კითხულობდა საბრალო მზეთუნახავი. განა მათი ერთად ყოფნა ცაში ვარსკვლავებს არ დაუდგენიათ? მაშ, როგორდა იქნება მათი დაშორება? სასოწარკვეთილმა ინანამ აღარ იცოდა, როგორ უნდა ეშველა საყვარელი მეუღლისათვის. მაშინ უთუმ ურჩია: — შენ თვითონ ჩადი ქვესკნელში, ეახლე





ერეშქიგალს და შესთხოვე დუმუზის თავი. იქნებ, შენმა სილამაზემ და წრფელმა სიყვარულმა მოულბოს გული ქვესკნელის მბრძანებელს, შეიბრალოს და დაგითმოს მეუღლე!

თქმა და ქმნა ერთი იყო. დაუყონებლივ დაადგა ინანა ქვესკნელის გზას. მიდის, მიდის და განუწყვეტლივ ლოცულობს. იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა მდინარე გადალახა, ცხრა ზღვა გადაცურა და როგორც იქნა, მიადგა ქვესკნელის სამეფოს ჭიშკარს. ჭიშკარს ლომისთავიანი ფრთოსანი არსება იმდუგუდი იცავდა. იმდუგუდი თვალს თვალში უყრიდა მომსვლელს და ჭიშკარში შეაცილებდა. მაგრამ გამოსვლით — ნურას უკაცრავად! ბევრს მოსდომებია უკან დაბრუნება, მაგრამ იმდუგუდს ერთიც არ გამოუშვია, არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ჯანმრთელი და არც სხეული, არც მდიდარი და არც ღარიბი, არც ძლევამოსილი და არც უმწეო...

მიადგა ინანა რკინის ალაყაფს და იმდუგუდს შეშვება სთხოვა. მართლაც, შეუშვა და მზეთუნახავი ქვესკნელის მბრძანებელს ეახლა, მუხლი მოუდრიკა და გულმხურვალედ შესთხოვა: — ქვესკნელის ბატონო ერეშქიგალ! შენი შიშით ცაზე ჩიტი ძრნის და მიწაზე ჭიანჭველა. ყოველი მოკვდავის მხნეობა დრკება, როდესაც ქვესკნელში ჩამოსვლა უნევს. მაგრამ მაინც, ყველას ბოლო შენ ხარ. ერთი მოკრძალებული სათხოვარი მაქვს, მბრძანებელო, ხომ მაინც შენი კერძია დუმუზი, ჩემი პირმშვენიერი სატრფო და ქმარი, შენს იქით გზა არა აქვს. იქნებ ადროვო



ზესკნელში ყოფნა, სამზეო ქვეყნით ტკბობა, საყვარელი ცხვრების მწყემსვა და ვადაზე ადრე არ მომტაცო?! ვიცი, განრისხებულმა ღვთაებებმა გამოამწესეს იგი შენთან, მაგრამ აი, თავად გეახელი და მუხლმოდრეკილი გევედრები, მაჩუქო მისი თავი. სანაცვლოდ, თუ გინდა, მე მიმსახურე, დამტოვე შენთან. დუმუზის გარეშე ჩემს სიცოცხლეს ფასი აღარ აქვს, უიმისოდ ერთ წუთსაც ვერ გავძლებ. შენს ხელთ არის ჩემი ყოფნა-არყოფნის საბელი და როგორც გულმა გითხრას, ისე მოიქეცი!

მზეთუნახავის მხურვალე ვედრებამ გული მოულბო ერეშქიგალს და შეიწყალა დუმუზი. მის ნაცვლად კი ინანა დაიტოვა თავისთან სამუდამო ტყვეობაში.

დაეტყო ქვეყანას ინანას დაკარგვა. მოიწყინა ბუნებამ, გახმა ხეები, დაჭკნა ყვავილები, ხმა გაკმიდეს ფრინველებმა, გაშიშვლდა ტყე, გაიყინა არემარე. დაზამთრდა. საშველი არსად იყო. ღვთაებები შენუხდნენ, რადგან ინანას სამზეოდან მოცილებას არ აპირებდნენ, მხოლოდ დუმუზის დასჯა უნდოდათ და შესთხოვეს ერეშქიგალს — გამოუშვი მეფის ასული, თორემ ქვეყანა დაიღუპება, ინანას გარეშე მზე-უთუც ძალას დაკარგავსო.

— გამოვუშვებ, თუკი მის სანაცვლოდ სხვას გამომიგზავნით, რადგან ჯერ ქვესკნელიდან არავინ დაბრუნებულა სამზეოზე. მაშინ აღუთქვეს ღვთაებებმა:

— თუ ინანას გამოუშვებ, მეორე დღესვე გაახლებთ სანაცვლოსო.

იმდუგუდმა ჭიშკარი შეალო და ინანა სამზეო გზაზე გამოუშვა. თან ერეშქიგალის მსახურები — ანუნაქები გამოაყოლა. ამოდგა თუ არა ქალმა ფეხი მინაზე, იგრძნო ბუნებამ — აყვავდა, ამწვანდა გარემო, აჭიკჭიკდნენ ჩიტები...

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



გახარებული მიიჩქარის მეფის ასული სასახლისაკენ, უნდა დუმუზის ახაროს განსაცდელიდან დახსნის ამბავი. მაგრამ სად არის დუმუზი, სასახლეში მისი მნახველი არავინ აღმოჩნდა. ნუთუ ცხვრების მწყემსვამ ისე გაიტაცა, რომ არც შეუტყვია ინანას ქვესკნელში ჩასვლა, ნუთუ ასეთი ცივი გული აქვს დუმუზის, ნუთუ მათი სიყვარული მხოლოდ მოჩვენება იყო? განრისხდა ინანა: — მე ცა და დედამიწა ავაწრიალე, სიყვარულმა შეუძლებელი შემაძლებინა, მას კი თავისი თავის მეტი არავინ ახსოვს, სასახლეში დაბრუნება აზრადაც არ მოსდისო. ისე განრისხდა ინანა, რომ ქვესკნელიდან გამოყოლილ ანუნაქებს უთხრა: — ასე მოახსენეთ თქვენს მპრძანებელს, წაიყვანოს დუმუზი, ასეთია ჩემი ნება!

გახარებული ერეშქიგალი თავის საბრძანებელში დუმუზის მისაღებად ემზადება. აი, მეორე დღეს უნდა წაიყვანოს სამზოდან ინანას სატრფო. მაშინ ეზმანა მწყემსს ავი სიზმარი. შეშფოთებულმა თავის დას — გეშთინანას უამბო იგი და ახსნა სთხოვა. გეშთინანამ აუხსნა ნანახი: — ავი სიზმარი გინახავს, ძმაო! ინანა განრისხებულა შენზე და ღვთაებებიც აღარ გწყალობენ. ქვესკნელის მუქარას ჰგავს ყოველივე ეს. ალბათ ერეშქიგალი გიპირებს წაყვანას. უთუს მივმართოთ, ჩვენს მფარველსა და ინანას ნაძმობს, იქნებ ხსნის გზა გვასწავლოსო.

მართლაც, შესთხოვეს დუმუზიმ და გეშთინანამ შველა უთუს, მზის ღვთაებას. მაგრამ ქვესკნელიდან ამოსული ანუნაქები უკვე ახლოს არიან, უნდა სტაცონ ხელი დუმუზის და ერეშქიგალის სამფლობელოში გააქანონ. მაშინ გადააქცია უთუმ მწყემსი ქურციკად და ფარას შეურია. მირბის ქურციკი, მისდევენ ანუნაქები. აი,



ის-ის არის, უნდა დაეწიონ, მაგრამ ქურციკი დიდი ნახტომებით ველად გაიჭრა. მირბის, მირბის, მაგრამ ქვესკნელის ძახილს ვერვინ გაექცევა...

დაეწიენ საბრალოს ანუნაქები, მიჰვარეს ქვესკნელის მბრძანებელს. ჩავარდა სახელოვანი ვაჟკაცი, პირმშვენიერი დუმუზი ერეშქიგალის ხელში, ამიერიდან მისი საშველი აღარსად არის...

არც ინანა დარჩა ბედნიერი დუმუზის გაწირვის შემდეგ. მიხვდა, რომ წამიერ რისხვას აჰყვა და სინანულმა შეიპყრო. ენანება დუმუზი, კვლავ სინაზით ევსება გული და მწარედ იგლოვს თავის უიღბლო სიყვარულს. ცრემლები ჰპანენ მის ნაზ ღაწვებს, უსველებენ გულისპირს. მასთან ერთად იგლოვს დედაბუნებაც. ქვეყანა შესძრა მზეთუნახავ ინანას მწუხარებამ და ოხვრა მისწვდა მაღლა ღვთაებათა ყურს. ოხვრამ გაალლო მათი გული. შეებრალათ მშვენერი ინანა. შეიკრიბნენ. დიდხანს ითათბირეს და კვლავ მიმართეს ერეშქიგალს, რომ დუმუზი გამოეშვა.

ცივი უარი თქვა ერეშქიგალმა — აქ მოსული მოკვდავი ვეღარასოდეს დაბრუნდება მზისქვეშეთშიო. მაგრამ ბოლოს დაჲყვა ქვესკნელის მბრძანებელი ღვთაებათა თხოვნას, უამით უამად გამოუშვას დუმუზი სამზეოზე და მერე კვლავ იხმოს თავისთან.

მას შემდეგ ასეა — წელიწადის ნახევარს დუმუზი მიწისქვეშეთში ატარებს და მაშინ მწუხარეა მზეთუნახავი ინანა, მგლოვიარეა დედაბუნება, ყინვა დათარეშობს დედამიწაზე, მძლავრი ქარები არყევენ გარემოს, ხეები გაძარცულია, ველები — თოვლით დაფარული. ზამთარია.

მაგრამ, აი, ამოდის დუმუზი სამზეოზე, ხვდება თავის სატრფოს და ნახევარ წელიწადს სიყვარულსა და სიტკბოებაში ატარებენ. ბედნიერია ინანა, ზეიმობს დედაბუნება, ათასფრად ელვარებს გარემო, ხეები ზურმუხტისფერ ფოთლებს აშრიალებენ, ყვავიან და ნაყოფს ისხამენ, ველი ბიბინებს და ყანა ღელავს საამური ნიავის დაქროლვაზე. ათას ხმაზე გალობენ ჩიტები, ხალისობენ შვლები და ირმები. ზაფხულია.

ასე ცხოვრობენ ინანა და დუმუზი — ნახევარ წელიწადს ერთად არიან, შემდეგ ექვს თვეს კი ერთმანეთის ნატვრასა და მწუხარებაში ატარებენ. ამიტომაც ცვლის დედამიწაზე ზამთარს ზაფხული და ზაფხულს — ზამთარი და ასე გადის დრო.

ადამიანებმა კი იციან, რომ როცა, დუმუზი მიწისქვეშეთშია — ზამთარია, ხოლო როცა სამზეოზე ამოდის, გაზაფხულდება და ბუნებაც იღვიძებს.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊԵԼ



თქვენს წინაშეა 3500 წლის წინათ სირიაში ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის მომხდარი ცნობილი კადეშის ომის ამბავი. იგი მოგვითხრობს ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შესახებ. მათ შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება ერთ-ერთი უპირველესთაგანია მსოფლიო ისტორიაში. გმირ ხელმწიფეთა სამაგალითო საქციელი ბრძოლის სიმაცესა და მშვიდობის სიბრძნეს გვასწავლის.

სერია მომზადებულია არსებულ ლურსმულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ღამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები



შედეგის ობი

ეს ამბავი უძველეს დროში მოხდა. ათასი ღვთაება ერთად შეიკრიბა, ქვეყნები საბრძანებლად მეფეებს ჩააბარა და ისინიც, ავად თუ კარგად, ხელმწიფობდნენ. მათ მთავარ საქმედ ომი იქცა. რომელი მეფე არ ინატრებდა მტრის საგანძურის ხელში ჩაგდებასა და დაპატრონებას?

ასე იყო ხეთის სამეფოშიც. მეფე ხათუსილი ხნიერი, მრავალჭირნახული, დარბაისელი მმართველი გახლდათ. რა არ უნახავს მის გამჭრიახ თვალებს, როგორი ძლიერი მტერი არ დაუმარცხებია ძლევამოსილ ხელმწიფეს, მაგრამ ომის ჟინი არც სიბერეში ჩაქრობია. ისევ ინვევდა ბრძოლის ველზე კლდემაგარი მუხლი და რკინის მარჯვენა.

იჯდა ხათუსილი თავის სამეფო ტახტზე და ლრმა ფიქრს მისცემოდა: „აჲა, მთავრდება ცხოვრება, ღვთაება იშთარის დახმარებით კეთილსინდისიერად მიცხოვრია, მამა-პაპათა სახელი არ შემირცხვენია. მაგრამ ერთი დარდი მაინც მიმყვება იმქვეყნად: თუმცა ყველა მოსისხლე მტერი დავჯაბნე, ეგვიპტის სამეფოს დამარცხება მაინც ვერ შევძელი. სახელგანთქმულია მეფე რამსესი, ჯერ ყმანვილკაცია, მაგრამ გამოცდილება და სითამამე არ აკლია, თანაბრად უმკლავდება ყველანაირ განსაცდელს. ცოტა კი მაფიქრებს მისი გამბედაობა და ამიტომაც ვშიშობ შერკინებას. მიუხედავად ამისა, ისევ ასეთ ძლიერ მეტოქეს ვინატრებდი, სუსტან ჭიდილი რა საკადრისია? გამოვიხმობ საბრძოლველად, თუ დავამარცხე, ხომ კარგი, თუ არა და, მძლეთამძლე არც მე ვყოფილვარ”.



მეორე დღესვე თათბირი გამართა ხეთის მეფემ. როგორ არ ურჩიეს ნაზირ-ვეზი-რებმა, ხელი აელო თავის განზრახვაზე, რადგან მეფე რამსესის სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველას, მაგრამ ხათუსილის ნებას წინ ვინ აღუდგებოდა!

ქუდზე კაცი გამოვიდა ხეთის სამეფოში. მოგროვდა ზღვა ხალხი – ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომები, მეზობელი ქვეყნების დამხმარე რაზმები — შედგა უზარმაზარი ფეხოსანთა და ცხენოსანთა ლაშქარი, გამზადდა საომარი ეტლები. ხათუსილის ერთი შეძახილი და ხეთი მეომრები მზად არიან, თავდაუზოგავად ეკვეთონ მტერს!

მეფე რამსესს ცნობა მოუვიდა – საომრად გინვევს ხეთი ხელმწიფე, დაკარგული მიწების კვლავ ხელთ ჩაგდება მოსწყურებიაო. ჩაეცინა ღვთაება ამონის ნები-ერსა და რჩეულს: „ჩემი შიშით ცაში ჩიტი ვერ დაფრინავს და მიწაზე ჭიანჭველა ვერ დადის, ნეტავ როგორ განუზრახავს ხნიერ მეფეს ჩემთან შერკინება? ერთი მართლა უნდა შევეპრძოლო და ისეთი სიმარჯვე ვაჩვენო, ხეთებმა ქარქაშიდან ხმლის ამოღებაც ვერ მოასწრონ“. გამოდგა სასახლიდან რამსესი და ეგვიპტელებს მიმართა: „ღვთაება ამონის მსახურნო, ზედა და ქვედა ეგვიპტის ქვეშევრდომნო! ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი ახლა თქვენს ხელთაა! უნდა შევეპრძოლოთ ხეთ მტერს. ამ ბრძოლაში გამოჩნდება, ვინ არის ქვეყნისა და მეფის ერთგული, ვინ იქნება სახელოვანი შვილი თავისი გვარისა. მაშ, გავწიოთ საომრად და სამშობლოსათვის სისხლი დავღვაროთ! ვინც ბრძოლის ველზე გმირულად დაეცემა, მისი სახელი სამარადისოდ გადაეცემა შთამომავლობას. წინ, ეგვიპტელებო! დაე, ნახოს ჩვენმა მტერმა, რისი შნო და ილაჯიც გვაქვს!“



მეფის სიტყვებმა ეგვიპტელებს გული საომრად აუჩქროლა, მოანდომა სამშობლოსთვის თავის განირვა. მაშინ აღარ დააყოვნეს, მდინარე ნილოსის ნაპირს მიადგნენ, წმინდა წყალში განიბანენ და საომარ სამზადისს შეუდგნენ — აისხეს იარაღი, გაამზადეს სამხედრო ხომალდები, შემოახტნენ თავიანთ სანაქებო ცხენებს და ყიუინით გაემართნენ მტრის შესახვედრად.

ვრცლად გაშლილ კადეშის ველს სამხრეთიდან გარს თვალუნვდენელი კლდეები ერტყა. აქ უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს რამსესისა და ხათუსილის მებრძოლები.

ირიურაჟა. რამსესის ლაშქარს უკვე დაებანაკა მინდორზე. ფარაონის აზრით, სწორედ კლდოვანი მხრიდან უნდა გამოჩენილიყო ხეთელი მტერი. მაგრამ მონინაალმდეგე არსაიდან ჩანდა, მათი იარაღის ჩქამიც კი არ ისმოდა. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული, ასე საეჭვოდ რომ არ ჩანს ხეთი ხელმწიფების — გაიფიქრა რამსესმა, — მამა-პაპათაგან მსმენია ხეთი ხელმწიფების ვერაგობის ამბავი. ახლაც, ვინ უწყის, რა განუზრახავს ხათუსილის, მისგან ყველაფერია მოსალოდნელიო.

ფარაონი ცხენიდან ჩამოხტა, მუხლი გაშალა. უცებ მხლებლებს შორის ჩოჩქოლი ატყდა — ტყვეები მოჰყავთ, ტყვეებიო. მოჰგვარეს მბრძანებელს ორი კაცი. უცხოტომელები ჩანდნენ, უცხო სამოსი ეცვათ.

— ვინ ხართ? სადაურები? მოახსენეთ ყველაფერი ჩვენს მბრძანებელს! — უბრძანეს ტყვეებს რამსესის ქვეშევრდომებმა.

უცხოტომელები ფეხთ ჩაუვარდნენ ფარაონს და შეჰდალადეს: — დიდებულობატონო, ამონის ძევ და ღვთაებათა რჩეულო! იყავ სამარადისოდ დღეგრძელი და უვნებელი! გევედრებით, ნუ დაგვხოცავ, გვაცოცხლე და გვიმსახურე. ჩვენ ერთი



მცირერიცხოვანი ერის შვილები ვართ, ხეთების მეზობლად მცხოვრებნი. დიდი ხნის წინათ მეფე ხათუსილის წინაპრებმა დაგვატყვევეს და მას შემდეგ იძულებულნი ვართ, მის ლაშქარში ვიომოთ. იქნებ გადმოგვხედო წყალობის თვალით და გვიხსნა ხეთების ბატონობისგან. მიგვიღე და გვიმსახურე, ჩვენ გიჩვენებთ ხეთების ადგილსამყოფელს!

ყურადღებით უსმენდა ეგვიპტის მეფე უცხოტომელებს. მათი ნაუბარი ეამა. მაშინ შეიწყალა ისინი და მიუგო: — მიჩვენეთ გზა მტრისკენ, მაცნობეთ, რომელი მხრიდან მოიწევს, რომ იქითკენ ვიბრუნო პირი და მზადყოფნაში დავხვდე.

— ჩრდილოეთიდან მოდის ხათუსილი, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, — აცნობეს ლტოლვილებმა თავიანთ ახალ მბრძანებელს.

მაშინ ეგვიპტელები მითითებული მხრიდან ჩაუსაფრდნენ ხეთელ მტერს. ელიან, ელიან, მეტოქე კი კვლავ არ ჩანს. სად გაქრა ხათუსილის ლაშქარი? თურმე, ნუ იტყვით, ხეთელთა ხელმწიფეს ხერხი ეხმარა, ცრუ მაცნეები გამოეგზავნა რამსესისთვის და მტერზე ზურგიდან თავდასხმა განეზრახა. ეგვიპტის ფარაონი მეტად ბრძენი მთავარსარდალი გახლდათ, მაგრამ ყმანვილკაცობამ სძლია, იოლად მიენდო უცხოტომელთა სიტყვას, მათ ნაუბარში ეჭვი არ შეუტანია. ეს უცხოელები კი ხათუსილის ჯაშუშები ყოფილან, ეგვიპტის ლაშქრის ადგილსამყოფელის დასადგენად და მათთვის თვალის ასახვევად მოგზავნილნი.

სამხრეთის მთებიდან შემოუარა ველს ხეთების ყველგანნავალმა ლაშქარმა, მუხთლად მიეპარა ჩასაფრებულ ეგვიპტელებს და ყიუინით დაეცა თავს. ამონის მსახურნი დაიბნენ, იარაღი მოიმარჯვეს, მაგრამ გაფანტულნი იყვნენ და დროულად შეკრება ვეღარ მოასწრეს.

¶¶¶¶¶¶¶



ძალა ერთობაშიაო, ნათქვამია. ხეთებმა დასცეს ყიუინა და ეკვეთნენ მტერს. ქვიშასავით გამრავლდა მათი ლაშქარი, საომარ ეტლებზე მძიმედ აღჭურვილი მეომრები იდგნენ. დაიწყო გააფთრებული ომი. გაისმოდა იარალის ჟღარუნი და დაჭრილ მებრძოლთა კვნესა-ვაება.

მალე ხეთებმა ფარაონის ამალისთვის ალყის შემორტყმა და რამსესის ხელში ჩაგდება მოახერხეს. ბევრს ეცადა დატყვევებული ხელმწიფე, თავი დაეხსნა ხეთებისაგან, მაგრამ ამაოდ. მაშინ მან ღვთაება ამონს მიმართა: — მამავ და ბატონო ჩემო! ვიცი, მუდამ ჩემს გვერდით ხარ და განსაცდელის ჟამს არ მიმატოვებ. დავისაჯე ჩემი თავექარიანობის გამო, მივენდე უცხოტომელებს და აპა, ჩავუვარდი ტყვედ ხათუსილის. ან შენს ხელთაა ჩემი ბედი. ნუ გამწირავ, გევედრები, მაცოცხლე შენი ერთგული ყმა!

ამონმა შეისმინა ღვთაებათა რჩეულისა და ნებიერის ღაღადი და ასე მიუგო: — ეგვიპტის მპრძანებელო! ნუ შედრკება შენი გული! არ გეგონოს, გასაჭირის ჟამს ბედის ანაბარა მიგატოვო. განსაცდელმა გინია, მაგრამ ჩემი რჩეული ხარ და გიპატრონებ!

მაშინ დამშვიდდა ეგვიპტის მეფე, ღვთაების სიტყვებმა გული გაუმაგრა.

ხეთი ხელმწიფის ქვეშევრდომებმა რამსესი დაატყვევეს და ხათუსილის მიპევარეს. მეფემ ბრძანა: — ტყვე დედაქალაქ ხათუსას გაამწესეთ, მეც მალე დავბრუნდები და საბოლოო განაჩენს იქ გამოვუტან ფარაონსო.

დიდი პატივითა და მონიწებით წააბრძანეს მეომრებმა რამსეს ეგვიპტელი ხეთების ქვეყნად, სადაც მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.



კადეშის ველი წითლად შეიღება. წინამძღოლის დაკარგვით გაშმაგებულმა ეგვიპტელებმა ქვა ქვაზე აღარ დატოვეს, ადიდეს ლვთაება ამონი, ახსენეს ფარაონის სახელიდა ეკვეთნენ მტერს. მაგრამარცხეთები დარჩნენ ვალში, თავგანწირვით იბრძოდა ყველა. ბოლოს ქანცი გაუწყდათ მეომრებს, ძალა გამოეცალათ. ერთმანეთს შეაკლეს თავი, ცოცხალი არავინ დარჩენილა კადეშის ველზე. ყველა მეომარი დაიღუპა.

მეფე ხათუსილიმ ბრძოლის ველს გადმოხედა და ელდა ეცა. სიჩუმეს დაესადგურებინა ირგვლივ, არსაიდან ხმა არ ისმოდა, მხოლოდ სისხლის ტბები იდგა ყველგან. მაშინ დამწუხრდა და ღრმად ჩაფიქრდა მპრძანებელი: — აჲა, გასრულდა ომი. შევეტაკეთ ეგვიპტელებს, ვიომეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაგრამ რის ფასად? ცოცხალი არავინ დამირჩა, დაქვრივდნენ ხეთი ქალები, დაობლდნენ ბავშვები. რისთვის ვიბრძოდით? ხალხს ბედნიერება თუ არ მოვუტანე, რა აზრი აქვს ასეთ მეფობას? ჩემი ქვეყნისთვის ვერ მიპატრონია, სხვა ქვეყნის დასაპყრობად კი მივიწევ. აჲა, ხელთა მყავს ფარაონი, ნება ჩემია, ვაცოცხლებ, თუ საიქიოს გავისტუმრებ. მაგრამ ამხელა ცოდვა როგორ დავიდო, ეგვიპტის ქვეყანა უპატრონოდ როგორ დავტოვო? ისა სჯობს, გავათავისუფლებ რამსეს მეფეს, დავუზავდები და ერთად მშვიდად დავლევთ ამ წუთისოფელს.

მაშინ უპრძანა ცოცხლად დარჩენილ მეომრებს, განურჩევლად ყველა მიცვალებული დაემარხათ, თავად კი ხათუსას გასწია.

დატყვევებული რამსესი იჯდა ხათუსას სასახლის საპატიმროში და თავის განაჩენს ელოდა. აღსასრულის უამი ახლოვდებოდა. მეფე სარკმელთან მივი-





და და გახედა სასახლის ეზოს: ბაღში ჩიტები გალობდნენ, ხეები ყვაოდა, ბუნება ხალისობდა. რა საამოა ცხოვრება, — ფიქრობდა ფარაონი — მე კი რა სამარცხვინო აღსასრული მელის! ნუთუ მიმატოვა ღვთაება ამონმა, ნუთუ ხეთების ტყვეობაში უნდა აღმომხდეს სული? არადა, ამხელა სამეფოს პატრონი, რას ვეძებ შორეულ ქვეყნებში? ღმერთმა სამყაროს პატარა ნაწილი ჩამაბარა საპატრონოდ, მე კი ვიბრძვი, ხალხს ვხოცავ. ან ამის ნება ვინ მომცა? დიდად ცოდვილი ვარ. თუ ცოცხალი გადავრჩი, ღვთაება ამონს ვფიცავ, აღარასოდეს ვიომებ ამიერიდან!

ხეთი ხელმწიფე მალე მიბრძანდა დედაქალაქში. თავად ეახლა დატყვევებულ ფარაონს და მისი გათავისუფლება ბრძანა. გაოცდა რამსესი, გაუკვირდა ხათუ-სილის ასეთი საქციელი. მაშინ მიუგო ხანდაზმულმა ხელმწიფემ ჭაბუკ ფარაონს:

— დიდებულო მეფეო, ამონის ძევ! მომწონხარ, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი და გიბოძებ სიცოცხლეს. რა გვაქვს გასაყოფი? ჩემმა მზემ, ერთმანეთს ვერ ვჯაბნით, ომმა კი უბედურების მეტი არაფერი მოგვიტანა ჩვენ და ჩვენს ხალხს. ძალის ჩვენება სუსტთა საქმეა. თუ თავის გამოჩენა გსურს, სიბრძნითა და კეთილი საქმით გაითქვი სახელი მშვიდობის დროს!

ყმაწვილმა ფარაონმა თავი მდაბლად დაუკრა მას და უთხრა: — დიდო მბრძანებელო, მართლაც გულმოწყალე და საკადრისი მეტოქე ყოფილხარ! ღმერთს მადლობას შევნირავ, შენი მეგობრობის ღირსი თუ გამხადა! ამ სიტყვებზე გადაეხვიენ ხელმწიფები ერთმანეთს და ტკბილი საუბარი გამართეს.

მხიარულება და ზეიმი დიდხანს არ გამოლეულა ხეთის ქვეყანაში, ცხრა დღე და ცხრა ღამელხინი იყო მეფის სასახლეში, ძმობას ეფიცებოდნენ ერთურთს ერთდროს



მოძულე მტრები. ყველა ხარობდა მშვიდობის დადგომას, ამდენი სისხლისღვრის შემდეგ ომის სურვილი აღარავის გასჩენია. ბოლოს ფარაონმა ეგვიპტისკენ გამგზავრება გადაწყვიტა. მოხუც ხათუსილს უძნელდებოდა მასთან განშორება. ასე უთხრა: — შვილო ჩემო, ვიცი, უშენობა გამიჭირდება, მაგრამ შენი ვალია, ქვეყანას მიხედო. ჩვენი მეგობრობა კი მარად ურყევი დარჩება. ამის დასტურად მინდა ოქროს ფირფიტა მოგართვა, ზედ ჩვენი სამარადისო ძმობის ნიშანია აღბეჭდილი. თან ჩემს მზეთუნახავ ქალიშვილს, თუთუს შეგრთავ ცოლად, დაე, ბედნიერად იცხოვროთ და სამართლიანად მართოთ ქვეყანა უკუნითი უკუნისამდე!

დიდად გაახარა რამსესი ხათუსილის სიტყვებმა, გადაეხვია, გამოემშვიდობა და დაადგა სამშობლოს გზას, რათა საქორნინოდ მომზადებულიყო და საკადრისად დახვედროდა ხეთი მეფის ასულს.

დედოფალმა ფუდუხეფამ ქალიშვილს მამის ნება განუცხადა. თუთუმ შორს დაიჭირა მშობელთა გულის ნადები: — ეს რა მიბრძანე, დედა, ნუთუ გგონია, სამშობლოდან ასე მოწყვეტილი შევძლებ ცხოვრებას? უწინამც დღე კი დამელევა, ვიდრე უცხოტომელს ცოლად გავყვები!

დედოფალმა ფუდუხეფამ ქალიშვილი ასე დაარიგა: — ვიცი, შვილო ჩემო, განა არ ვიცი, რარიგ ძნელია უცხობაში ცხოვრება. მაგრამ არ დაივიწყო, შენ უბრალო ადამიანი კი არა, მეფის ასული ხარ, ის უნდა აკეთო, რაც ქვეყანას სჭირდება. სამშობლოს ჭირი და ლხინი — შენი ჭირი და ლხინია, ქვეყნის ნება — შენი ნება უნდა იყოს. ქალი თუ სილამაზით ფასობს, ვაჟუაცი — გონებითა და მამაცობით. რამსეს მეფეს კი არც მშვენება აკლია და არც სიბრძნე. თუ ეგვიპტის დედოფალი





გახდები, ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობა იქნება. აი, ხომ ხედავ, რა დიდი მოვალეობა დაგიწერა ზეცამ. ახლა გამოჩნდება შენი მეფური ბუნება და სამშობლოს სიყვარული. დამილოცნიხარ, თუთუ, გახსოვდეს, ხეთის ქვეყნის ათასი ღვთაება გიფარავს ყოველგვარი განსაცდელისგან!

ამ სიტყვების გამონემეფის ასულს ცრემლი მოადგა თვალზე. ღრმად ჩაუფიქრდა დედის რჩევას, მიხვდა, თუ რა დიდ სიბრძნეს უქადაგებდა იგი და დათანხმდა. ბრძანება გასცა ხელმწიფემ, მეფეთა საფერი მზითევი გაემზადებინათ.

მალე ზამთარიც დადგა და მეფის ასულ თუთუს ეგვიპტეში გამგზავრების უამმა მოაწია. მზეთუნახავი კვლავაც დამწუხრებული იყო, არ ეთმობოდა სასახლის მიტოვება. მეფე ხათუსილი დიდხანს ეთხოვებოდა ქალიშვილს. ბოლოს განშორების დროც მოვიდა. მომავალ დედოფალს დიდი ამალა მიჰყვებოდა თან, ძვირფასეულობით დაეტვირთათ ეტლები. რა გინდა, სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო, თვალს ჭრიდა ხეთური საგანძურის ბრწყინვალება. თან მიჰქონდათ ხათუსილისა და ფუდუხეფას სამეფო ბეჭედდასმული ოქროს ფირფიტა — ეგვიპტელებისა და ხეთების მეგობრობის ნიშანი.

როცა შეიტყო ფარაონმა, მეფის ასული ეგვიპტეს მოემართებაო, სასწრაფოდ გაგზავნა თავისი მეომრები და დიდებულები მის შესაგებებლად. თავად ღვთაება ამონს შეევედრა: — ჩემო ბატონო, რასაც შენ ბრძანებ, ყველაფერი სრულდება. ნუ მოავლენ თოვლსა და წვიმას, სანამ მეფის ასული თუთუ დედაქალაქს არ მოაღწევს!

მართლაც, შეისმინა ღვთაებამ რამსესის გულწრფელი თხოვნა და სასწაული მოუვლინა მიწას — ზამთარში ზაფხულის ამინდი დააყენა.



ბოლოს მიაღწია მეფის ასულმა დედაქალაქს. მისი მშვენიერების საჭვრეტად უთვალავი ხალხი გამოეფინა. მოხიბლა ეგვიპტელები შორეული ქვეყნის ასულის სილამაზემ და სინაზემ. ფარაონი სასახლიდან გამოვიდა. საქორნინოდ მოკაზმულიყო, სამეფო ტანისამოსს ოქროს სამკაული უმშვენებდა, თავზე ოქროსავე გვირგვინი შვენოდა. მსახურებმა სადედოფლო ტანისაცმელი გამოიტანეს და პატარძალს მიართვეს.

თუთუს მორცხვად დაეხარა თავი. ბოლოს ძალა მოიკრიბა და ფარაონს ახედა. მის წინ ულამაზესი ვაჟკაცი იდგა. შუბლი გაეხსნა დედოფალს, სახე გაუნათდა, მზემაც გამოანათა, ცამ ღრუბლები გადაიყარა. გახალისდა ფარაონი. ნეფე-პატარძალი ამონის ტაძარში შევიდა. რამსესმა ღვთაებას მიმართა: — აჲა, მოგგვარე მსახური შენი! ან გვიპატრონე და გვიმსახურე ორთავე!

ასე დაქორნინდნენ ეგვიპტელი ფარაონი რამსესი და ხეთი მეფის ასული თუთუ. ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად, ღრმა სიბერემდე. ეგვიპტისა და ხეთის ქვეყნებში მუდამ მშვიდობა იდგა, მოისპო მტრობა და შური. მეფე ხათუსილი მალევე გარდაიცვალა. დაიტირა იგი მთელმა ხეთის ქვეყანამ, მთელმა ეგვიპტემ. ხალხი მიხვდა, რომ სიკვდილსა და ომს ბედნიერება არ მოაქვს, რომ ამქვეყნად მთავარი მშვიდობა და სიყვარულია. ხათუსილის სიკეთისა და სიბრძნის ამბებს მოუთხრობდნენ მამები შვილებს, შვილები — შვილთაშვილებს.

ამის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ბოლოს მეფე რამსესის ღვთაებად გახდომის დროც დადგა — ზეცაში უნდა ასულიყო მისი სული. სიკვდილის წინ მოიხმო მეფისწულები, დიდებულები და განუცხადა: — ეგვიპტის ერთგულნო შვილნო, ამონის მსახურნო! ეს ცხოვრება წამიერი ყოფილა, დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით. მე გშორდებით. ახლა თქვენ იცით, როგორ მიხედავთ ქვეყანას. ვაი მას, ვინც სამშობლოს ულალატებს ან მოძმე ქვეყანას ომს გამოუცხადებს. გაუფრთხილდით ხეთის ქვეყნის ერთგულებას, ჩვენი მეგობრობა ხომ ოქროს ფირფიტაზეა საუკუნოდ დაბეჭდილი. გახსოვდეთ, მე ზეციდან ყველაფერს დავინახავ და თვალყურს მივადევნებ, ერთგულს გავამხნევებ, მოღალატეს კი გავამწარებ!

ეგვიპტელები დიდხანს იგლოვდნენ საყვარელ ფარაონს. მის პატივსაცემად ტაძარი ააგეს, სადაც რამსესის უზარმაზარი ქანდაკება დადგეს. მისი ანდერძის პირნათლად შესრულებას ცდილობდა ყველა. მეფემაც აასრულა პირობა — დილაობით მზის სხივი დღემდე აღწევს მის ტაძარში და ხელმწიფის ქანდაკებას გვირგვინს უნათებს. ეს კი იმის ნიშანია, რომ მეფე რამსესის უკვდავი სული მუდამ თავის ქვეყანას დასტრიალებს თავს.



¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



ԱՅՆ ՉՈՐՏԱԲԵՐԱ ԿՐԾԿԱԼ



გილგამეშის ეპოსი კაცობრიობის პირველი და ყველაზე ძველი თხზულებაა, რომელიც შუამდინარეთში შეიქმნა და ჩვენამდე ლურსმულ ფირფიტებზე დაწერილმა მოაღწია. იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები მეგობრობის, ერთგულების, სილამაზის, მამაცობისა და უკვდავების შესახებ. როდესაც ამ თხზულებას გაეცნობით, მოგხიბლავთ გილგამეშისა და ენქიდუს წრფელი, თავდადებული მეგობრობა და უეპრო სიმამაცე.

სერია მომზადებულია არსებულ ლურსმულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ღამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები



შესუ პილუშაშვილის ჩანაბი

უხსოვარ დროში ქალაქ ურუქს განგებდა ბრძენი და სახელოვანი მეფე გილგამეში. მისი სახელი შორს იყო გავარდნილი, როგორც უშიშარი და უბადლო მეომრისა. ახოვანი იყო მეფე, ფართო მხარბეჭიანი, ძლიერი, მგრგვინავხმიანი. ხშირი, გრძელი წვერი მკერდზე ეფინა. ბრძოლის ველზე მისი გამოჩენაც კი მტერს შიშის ზარს სცემდა.

ღმერთებს მისთვის ღვთაებრივი ძალა ებოძებინათ და ეს ძალა მეფის მუზარადიდან ასხივებდა. გილგამეში ღმერთების საჩუქარს არასოდეს იშორებდა და გული არხეინად ჰქონდა, რადგან მისი მომრევი დედამინის ზურგზე არ ეგულებოდა.


მართლაც არ ჰყავდა მეფე გილგამეშს ბრძოლაში სწორი. მისი შიშით ქალაქს მტერი ახლოს ვერ ეკარებოდა. მაგრამ საუბედუროდ, ქალაქის მკვიდრთაც ისევე ეშინოდათ თავიანთი მბრძანებლისა, როგორც უცხოებს, რადგან საშინელ რისხვას ატეხდა თავს ყველას, ვინც ახლოს მიეკარებოდა. მსახურებს სასიხარულო ამბავიც კი ვერ შეებედათ მისთვის.



ღმერთების ნებიერ მეფეს ზოგჯერ სევდა შეიპყრობდა იმის გამო, რომ ქვეყნად თავისი ტოლი და სწორი ვერ ეპოვნა და მარტოობისგან გონებაამღვრეული, განურჩევლად ყველას ერჩოდა — შინაურსა თუ გარეულს, ქალსა თუ კაცს, მოხუცსა თუ ყრმას... მისი რისხვითა და გულქვაობით გაძეზრებული ქალაქელები დღედაღამ იმას ლოცულობდნენ, ნეტავ ისეთი ვინმე გამოჩნდებოდნეს, ჩვენს მეფეს რომ შეერკინება და დაამარცხებსო, რადგან იმედი ჰქონდათ, ორთაბრძოლაში დაამარცხებული გილგამეში ამპარტავნობასა და სიფიცხეს დათმობს და გული მოულბებაო.

ერთმშვენიერდღეს მეფეს ერთი მონადირე ეახლადა დილით ტყეში ნახულია მბავი მოახსენა: „მეფეო, დილით სანადიროდ გავედი ტყეში, ცოტა რამ მოვინადირე და ერთ წყაროს მივადექი. წყურვილი მოვიკალი და იქვე, ბუჩქთან ჩავიმუხლე. უცებ, სად იყო და სად არა, წყაროს ქურციკთა დიდი ჯოგი მოაწყდა. დაეწაფნენ წყალს და რას ვხედავ — ჯოგში ადამიანიც ურევია. თუმცა ადამიანობისა ბევრი არაფერი სცხია — ცხოველთა შორის ცხოვრობს, მათთან ერთად სვამს, ჭამს, ნადირობს, ტყე-ლრეში დაძრნის. ლაპარაკი არ იცის, მარტო ნადირთა ენა ესმის, მათთან მეგობრობს, ადამიანი ახლოს ვერ ეკარება. სახელად ენქიდუ ჰქვია“.

გილგამეშს დიდად გაუკვირდა ეს ამბავი და კიდევაც ენიშნა: სწორედ წინა ლამით



ესიზმრა უცნაური რამ. თითქოს ურუქის ციდან ვარსკვლავები ცვიოდა და მთელი ქალაქი უყურებდა ვარსკვლავთცვენას. თვითონაც მოუნდა ვარსკვლავის დაძვრა, მაგრამ ვერ შეძლო. გილგამეშმა დილით დედას უამბო სიზმარი და ახსნა სთხოვა.

მეგობარს შეიძენ. ვარსკვლავი, რომელსაც ძვრა ვერ უყავი, სწორედ შენი მეგობრის ნიშანია — უთხრა მაშინ დედამ. ახლა, როცა მონადირის ნაამბობი მოისმინა, თავისი სიზმარი გაახსენდა და იფიქრა — იქნებ ეს ველური ენქიდუ აღმოჩნდეს ჩემი ტოლი და სწორიო და მონადირეს უბრძანა: — ერთი მხევალი მყავს, შამხათი ჰქვია. ისეთი ლამაზია, მისი შემხედვარე მუნჯი ენას ამოიდგამს, მახინჯი გალამაზდება, ცხოველი გაადამიანდება, გარეული მოშინაურდება. წაიყვანე და იმ წყაროსთან დასვი, შეხვდება ენქიდუ შამხათს და იქნებ გაადამიანდეს, ჩვენკენ იბრუნოს პირიო!

დაადგნენ ტყის გზას მონადირე და მხევალი შამხათი. ბევრი იარეს თუ ცოტა, წყაროს მიადგნენ და იქვე, ხშირ ბუჩქნარში დაიმალნენ. ორი დღის ლოდინის შემდეგ გამოჩნდა ენქიდუ თავის განუყრელ ჯოგთან ერთად. უზარმაზარი იყო ტანად, მთელი სხეული ბალნით დაჰფარვოდა, შავი თმა მხრებზე სცემდა.

ერთი ქურციკი გვერდიდან არ შორდებოდა: ის იყო, თურმე, მისი ერთგული მეგობარი.



ჯოგი წყაროს დაეწაფა. ენქიდუც დაიხარა წყურვილის მოსაკლავად. სწორედ მაშინ გამოვიდა სამალავიდან შამხათი და ტყის კაცს წინ დაუდგა. წყურვილი რომ მოიკლა, ენქიდუმ თავი ასწია. და, ჰოი, საოცრებავ, მის წინ ულამაზესი ასული იდგა! მისებრი მშვენიერება საწყალ ენქიდუს ჯერ არ ენახა. შამხათი მცირე ხანს შესცქეროდა ტყის კაცს, მერე სიტყვის უთქმელად გატრიალდა და წავიდა. მისი სილამაზით მონუსხული ველური უკან გაჰყვა, უეცრად შეჩერდა და წყაროსკენ მოიხედა: მის მეგობრებს ჯერაც არ მოეკლათ წყურვილი და წყაროზე თავდახრილები იდგნენ. ენქიდუ დააცქერდა მათ. ერთი კი იფიქრა, დავბრუნდები, მათ არ შეველევიო, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ცხოველებისა აღარ ესმოდა. ისიც იგრძნო, რომ თანდათან იცვლებოდა, ადამიანდებოდა.

დამწუხრდა ენქიდუ. დაბრძენდა, გაადამიანდა და ამიტომაც დამწუხრდა. შიშმა და სიხარულმა ერთად შეიპყრო — იცოდა, რომ შამხათი მას უკეთესი ცხოვრებისკენ მიუძღვოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა გაადამიანებული ტყის კაცი, რომ ტყის მიტოვება მეგობრებთან სამუდამო განშორებას ნიშნავდა, უმეგობროდ კი ერთ წუთს ვერ გაძლებდა...

მიუხვდა შამხათი წუხილის მიზეზს აფორიაქებულ ენქიდუს და ალერსიანად უთხრა: — ნუ დარდობ, ენქიდუ, აქ შენი ადგილი აღარ არის. მენდე, მომყევი,



მიგიყვან ქალაქ ურუქში და იქ შეხვდები შენს ტოლ და სწორ მეგობარს! ეამა ეს სიტყვები ტყის კაცს, მიენდო შამხათს და წაჟუვა ურუქისკენ. გზად განიბანა, თმა შეიკონა, წვერი შეიკვეცა, შეიმოსა, გალამაზდა და დიდებულს დაემსგავსა.

როცა მგზავრები ურუქის კარიბჭეში შევიდნენ, მოედანზე შეგროვილი ქალაქელები გილგამეშის მრისხანების ამბებს ჰყვებოდნენ. არ მოეწონა ენქიდუს მეფის ავყიაობა და დასჭექა:

— ურუქელებო! მეფეს უთხარით, თუ ძალა ერჩის, გარეთ გამოვიდეს და შემერკინოს, ვნახოთ, ვინ იქნება ჩვენს შორის მძლეთა-მძლე!

ამცნეს მსახურებმა გილგამეშს: — ველური კაცი მოსულა ქალაქში, სასახლის წინ დგას და ბრძოლაში გინვევსო. გამოვიდა გილგამეში და რას ხედავს — სასახლის წინ დგას ენქიდუ — გაადამიანებული გოლიათი. ერთი კი უყო გულმა რეჩის მეფეს, მაგრამ მალევე დაიმშვიდა თავი: — შევერკინები, და თუ მართლა ჩემი სწორი აღმოჩნდა, დავიძმობილებ, ხოლო თუ დავამარცხე — არ ვაცოცხლებო.

შეიბნენ გილგამეში და ენქიდუ. დიდხანს იპრძოლეს. ხან ერთი სძლევდა, ხან მეორე. მაყურებელს ქანცი გაუწყდა — ბრძოლას თითქოს ბოლო არ უჩანდა. ბოლოს ჩაიმუხლა გილგამეშმა, მუხლი დაადო მიწას და დაუცხრა რისხვა. მაშინ ჩაიმუხლა ენქიდუმაც და მეფეს უთხრა: — შენ მპრძანებელი იყავ, მე მსახური ვიქნები, მიმსახურე და მიამხანაგე!



— მართლაც რომ ჩემი სწორი და ცალი ყოფილხარ! — მიუგო გილგამეშმა. გადაეხვივნენ ერთმანეთს, აკოცეს და ძმობა შეჰვიცეს.

დაძმობილდნენ გილგამეში და ენქიდუ. ერთი თვე აუღებელი ლხინი ჰქონდათ გამართული მთელი ქალაქისათვის. სვამდნენ ლუდსა და ლვინოს, მხიარულობდნენ. ქალაქელები ზეიმობდნენ, უხაროდათ მეფის გაკეთილშობილება.

ლხინსა და დროსტარებაში დრო სწრაფად გარბოდა. ენქიდუს მალე მოსწყინდა უსაქმოდ ყოფნა. იგრძნო — ძალა ერთმეოდა. იგრძნო და უთხრა გილგამეშს: — ჩემო ძმაო და მბრძანებელო, ლხინი კი კარგია და საამო, მაგრამ საქმეს თუ არ ვენიეთ, ორივე დავუძლურდებით. იქნებ სადმე ვილაშქროთ, მტერს შევებათ, დავამარცხოთ და ძალა მოვიკრიბოთ!.. ჩაფიქრდა გილგამეში და მიუგო მეგობარს: — კედრის ტყეს იცავს საზარელი ურჩხული ხუმბაბა. წავიდეთ, მოვკლათ, კედრებიც გავჩეხოთ, მორები მდინარე ევფრატში ჩავყაროთ და დინებას ურუქისკენ გამოვაყოლოთ!

— როდესაც ჯოგს დავდევდი ტყეში, ერთხელ ვნახე ხუმბაბა. მართლაც, დიდად საზარელი რამაა: ხმა ქუხილს მიუგავს, სუნთქვა — გრიგალს, პირიდან ცეცხლს აფრქვევს. ერთი ამოქშენით აფრთხობინებს კაცს სულს. მასთან შერკინება არც ისე ადვილია! — თქვა ენქიდუმ.

¶¶¶¶¶¶¶¶¶



— ნურას ფიქრობ, მეგობარო, მე წინ წავალ, შენ უკან მომყევი, ზურგი გამი-
მაგრე. თუ ერთმანეთს მხარს მივცემთ, ხუმბაბას იოლად გავუსწორდებით! — და-
ამშვიდა მეგობარი გილგამეშმა.

მიენდო მეგობარს ენქიდუ, მაგრამ გული მაინც ცუდს უგრძნობდა. ურუქე-
ლმა ბრძენკაცებმა ურჩიეს გილგამეშს: — მეფეო, ხუმბაბას დამმარცხებელი
ჯერ არავინ დაბადებულა. ნუ წახვალთ, თორემ თავსაც დაიღუპავთ და ჩვენც
დაგვლუპავთ! მაგრამ გილგამეშმა აღარ გადათქვა. აისხეს საჭურველი მეგო-
ბრებმა და დაადგნენ გზას.

ერთი თვის სავალი გმირებმა სამ დღეში გალიეს, მიადგნენ კედრის ტყეს და შიგ
შევიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, გადაეყარნენ ამ ტყის მცველ ხუმბაბას. იგი მთაზე
იდგა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. მის დანახვაზე ენქიდუმ კიდევ ერთხელ
მიმართა გილგამეშს: — ძმაო, მოდი, ნუ შევებმებით ხუმბაბას. რა გვეშველება,
უთანასწორო ბრძოლაში ერთ-ერთი რომ სასიკვდილოდ დაიჭრას? გილგამეშმა კი
მიუგო: — ნუ დარდობ, ჩემო ძმაო, ვინც ბრძოლაში დაეცემა, სახელიც მას დარჩება.
უსახელოდ სიცოცხლეს კი გმირული სიკვდილი ჯობს!

ავიდნენ მეგობრები მთის მწვერვალზე და შეებნენ ხუმბაბას. სამჯერ აძგერეს
მახვილი და ურჩხული უსულოდ დასცეს. მის დაცემაზე მიწა იძრა. მთებმა ზანზარი





დაიწყო, ტყე აშრიალდა... მაშინ კი მისდგნენ მეგობრები კედრებს. გილგამეში ხეს ძირში ჭრიდა, ენქიდუ კი ტოტებს კაფავდა. როცა დაიღალნენ, ცოტა ხნით ევფრატის ნაპირზე წამოწვნენ დასასვენებლად, ძალა მოიკრიბეს და კედრები მდინარეში ჩაყარეს. წაიღო დინებამ მორები ურუქისაკენ. გულით გაიხარეს მეგობრებმა და გამარჯვებულნი დაადგნენ გზას შინისაკენ.

ღმერთებმა რომ კედრის ტყის მცველი ხუმბაბას დამარცხება შეიტყვეს, შემთვოთდნენ და გადაწყვიტეს, ძმადნაფიცებისათვის განსაცდელი მოევლინათ — დედამინაზე ზეციური ხარი გამოეშვათ. თუ ამ საშინელ ხარსაც მოუღებდნენ ბოლოს, მაშინ ღმერთები ენქიდუს უკურნებელ სენს შეჰყურიდნენ და უმეგობროდ, ცალად დატოვებდნენ გილგამეშს.

მართლაც, ჩამოვიდა ზეციური ხარი დედამინაზე. მის სუნთქვაზე ცა გრგვინავდა, მიწა ირღვეოდა. დააღო პირი ხარმა, გაირღვა მიწა და ასი ურუქელი შთანთქა. დააღო მეორედ პირი, გაირღვა მიწა და ორასი ურუქელი შთანთქა. მიადგა ხარი ევფრატს და შვიდ ყლუპად შესვა მდინარე.

ამცნეს გილგამეშს: ღმერთებს ზეციური ხარი მოუვლენიათ, ურუქს განადგურება ელისო. ხუმბაბას მოკვლით გულმოცემულმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ზეციურ ხართან შერკინება. აისხეს საჭურველი და გასწიეს ევფრატისაკენ. მივიდნენ და

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



რას ხედავენ — სულ დაუშრია ხარს მდინარე და ახლა ქალაქის ბჭისაკენ მოიწევს. ენქიდუმ კუდში სტაცა ხარს ხელი, გილგამეშმა კი მკერდში აძგერა მახვილი და სული გააფრთხობინა. დაეცა ხარი მიწაზე და გადმოუშვა პირიდან მდინარე. ჩაჩრიალდა წყალი კალაპოტში, ტალღა ტალღას მიეწყო. გაიხარეს ძმადნაფიცებმა, განიბანნენ მდინარეში და ძლევამოსილნი დაბრუნდნენ ურუქში. ქალაქში დიდი ზეიმი გაიმართა. გმირების გამარჯვებით ილხენდა დიდი თუ პატარა.

მაგრამ გათენდა მეორე დილა და ენქიდუმ ნახა, რომ საწოლიდან ვერ დგება. წამოწევის ძალაც კი არ აქვს. მიხვდა, რომ ღმერთებმა შეასრულეს დანაპირები და მას უკურნებელი სენი შეჰქარეს.

თორმეტი დღე იავადა ენქიდუმ. გილგამეში სასთუმალთან ეჯდა და თვალზე ცრემლი არ უშრებოდა, მაგრამ რას გააწყობდა — ის მხოლოდ ადამიანი იყო და ღმერთების ნებას წინ ვერ აღუდგებოდა!

მოკვდა ენქიდუ. ექვს დღესა და შვიდ ღამეს იგლოვდა მეფე გილგამეში ერთგულ მეგობარს. გულამოსკვნით ტიროდა ტურთა მხევალი შამხათი, ტყეში ქურციკების ჯოგი გლოვობდა.

ცრემლი სდიოდა მთელ ურუქს — აღარ ჰყავდათ ენქიდუ — მათი მხსნელი, უბადლო მეომარი და ერთგული მეგობარი.





ენქიდუს სიკვდილის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ გილგამეშის გული ვერაფერმა გაამთელა.

მეფე ერთთავად დაკარგულ მეგობარზე დარდობდა — ნეტავ როგორ არის იმქვეყნად, ხომ არა უჭირს რა, როგორ უძლებს მარტოობას. ის იქ არის, მე კი ცოცხალი დავაბიჯებ მიწაზე და მისი შველა არ შემიძლიაო.

ბოლოს გადაწყვიტა: წავალ, მოვივლი მთა-ბარს, იქნებ სადმე უკვდავების წამალს გადავაწყდე და ენქიდუ გავაცოცხლოო.

მართლაც, დაადგა მეფე გილგამეში გზას უკვდავების წამლის საძებნელად. ვინც გზად შემოეყარა და მისი მგზავრობის ამბავი შეიტყო, ურჩევდა, განზრახვაზე ხელი აეღო, შინ დაბრუნებულიყო, რადგან ვინც ამ გზას დასდგომია, უკან ვერ დაბრუნებულა. მაგრამ გილგამეშს თავზე ხელი ჰქონდა აღებული, სიკვდილის შიშს შეეპყრო.

ბევრი იარა თუ ცოტა, მეფე ერთ მდინარეს მიადგა. ნაპირზე მენავე შენიშნა. გამოელაპარაკა და სახელი ჰკითხა. მენავეს ურშანაბი ერქვა. გილგამეშმა მდინარეზე გადაყვანა სთხოვა.

— დიდო მეფეო, აქ რამ მოგიყვანათ, ან რადა ხართ ასე სევდიანი, ნუთუ მეფეებსაც ენვევათ ხოლმე მწუხარება და განსაცდელი? — ჰკითხა ურშანაბიმ.

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶




— მეფეთა წუხილი ქვეშევრდომთა დარდზე უფრო მძიმეა. მეგობარი დავკარგე, სიკვდილმა მომტაცა და ახლა ვინ იცის, როგორ არის საიქიოში. უკვდავების წამლის საძებნელად ვარ წამოსული, იქნებ შევასვა და გავაცოცხლო ჩემი მეგობარი ენქიდუ! — მიუგო სევდიანად გილგამეშმა.

მაშინ მენავემ უთხრა: — მეფეო, თუ ნებას მომცემ, ჩემს მბრძანებელთან, უთნაფიშთისთან მიგიყვან. იგი ერთადერთია ადამიანთა შორის, ვინც უკვდავება მოიპოვა. წარლვნის დროს ადამიანთა მოდგმა გადაარჩინა და ამისათვის ღმერთებმა უკვდავება უბოძეს. მიგიყვან და ჰკითხე რჩევა, იქნებ გიჩვენოს ხსნის გზა!

მოეწონა გილგამეშს ურშანაბის რჩევა და თან გაჰყვა.

ერთი თვის სავალი სამდლეში გალიეს მეფემ და მენავემ. გადაიარეს სიკვდილის წყლები და ბოლოს იმ კლდეს მიადგნენ, რომლის თავზეც უთნაფიშთი ცხოვრობდა. გილგამეში გადმოვიდა ნაპირზე და კლდეს აუყვა. მალე მიადგა უთნაფიშთის საცხოვრისს. უკვდავმა უთნაფიშთიმ დიდი პატივით მიიღო მეფე და გულდასმით მოუსმინა. ბოლოს კი უთხრა: — ნუ დარდობ, გილგამეშ, აუტანელია ადამიანის ბედისწერა, როგორც ღმერთებს დაუდგენიათ, ისე მოხდება. სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთისაგან განუყოფელია. სიცოცხლეს ფასი აღარ ექნება,





თან სიკვდილი რომ არ მოსდევდეს. როგორც მზე ამოდის და ჩადის, თენდება და ღამდება ცაზე, ადამიანის ცხოვრებაც ასევეა — იცოცხლებს და მოკვდება. შენს ბედს უნდა შეეგუო. ადამიანი სააქაოში იმისთვის მოვიდა, რომ შემდეგ საიქიოში მოხვდეს. მე მოკვდავი ვიყავი და ღმერთებმა უკვდავება დამიდგინეს. შენც არ ძალგიძს შენი ბედისწერის შეცვლა!

მოისმინა გილგამეშმა უთნაფიშთის დარიგება, მაგრამ მეგობრის დაკარგვით გონებადაბინდულს სხვა არაფერი ესმოდა და შეეხვერა: — იქნებ მაინც არის სადმე უკვდავების წამალი, რომ ენქიდუ გავაცოცხლო. ისე ძლიერ მწადია მეგობრის ნახვა, რომ ვიცი, ღმერთები დამინდობენო.

შეეცოდა უთნაფიშთის გილგამეში და გადაწყვიტა დახმარებოდა: — რადგან ასეთი ერთგული მეგობარი ყოფილხარ, რა გაეწყობა, გასწავლი უკვდავების წამალს. ოკეანის ფსკერზე ხარობს იგი, ჩადი და მოწყვიტეო.

გახარებულმა გილგამეშმა მადლობა შესწირა უთნაფიშთის, დაემშვიდობა და ნავისაკენ გასწია. ურშანაბიმ ოკეანეში გაიყვანა იგი ნავით. გილგამეში ჩავიდა წყლის სიღრმეში, მიაგნო სიცოცხლის ბალახს, მოწყვიტა და ნავზე ამოიტანა. მენავეს კი მიუგო: — ჩემო ურშანაბი, ეხლა კი ველირსები ენქიდუს ნახვას. მერე წავილებ ბალახს ურუქში, ცოტას მეც შევჭამ და გავჭაბუკდებიო.

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



ურშანაბიმ სამშვიდობოზე გამოიყვანა გილგამეში და დაემშვიდობა. მეფემ თავისი ქალაქისაკენ გამოსწია. ერთი თვის სავალი სამ დღეში გალია. ქალაქს რომ მიუახლოვდა, ხის ძირას ჩამოჯდა დასასვენებლად. მოიხადა მუზარადი და ჩათვლიმა. უეცრად ხის ძირიდან გამოძვრა გველი და მძინარე გილგამეშს ბალახი მოპარა. გამოეღვიძა მეფეს, მიხედ-მოიხედა და რას ხედავს — უკვდავების ბალახი აღარ აქვს. დამწუხრდა დიდად და საგონებელში ჩავარდა. მიხვდა, რომ რაც არ უნდა ეღონა, ღმერთების ნებას ვერ შეცვლიდა. რაღა დარჩენოდა გილგამეშს, სასონარკვეთილი დაბრუნდა ურუქში.

კიდევ დიდხანს იგლოვდა მეფე გილგამეში მეგობრის დაკარგვას. განსაკუთრებით კი ის უკლავდა გულს, რომ ვერ შეძლო მისი გაცოცხლება. ენქიდუ საიქიოდან ხედავდა მეფის ტანჯვას და ღმერთებს შესთხოვა: — გამიშვით მინაზე, შევხვდები ჩემს მეგობარს, დავამშვიდებ და დავბრუნდებიო. შეეცოდათ ღმერთებს მეგობრები და გამოუშვეს ენქიდუ.

მწუხარე გილგამეში იჯდა ბაღში და იგლოვდა. ამ დროს ენქიდუ გამოჩნდა. გაოგნდა მეფე, მეგობარი კვლავ ცოცხალი რომ იხილა. გადაეხვივნენ ერთმანეთს და სიხარულის ცრემლი ღვარეს. შემდეგ ჩამოსხდნენ და ერთურთს თავისი გულისნადები უამბეს. გილგამეშმა შესჩივლა: — ძმაო, რაც შენ ჩემთან აღარ ხარ,



სიცოცხლე გამიჭირდა. ალბათ, არც შენ ხარ დალხენილი იმქვეყნად. იმ დროს მივტირი, როდესაც ჭირსა თუ ლხინში ერთად ვიყავით, მტერს ერთად ვებრძოდით და ვამარცხებდით. ნეტავ ისევ ჩემთან იყო. შენ მე მეგობრობა მასწავლე და ახლა უმეგობროდ ერთი წუთითაც აღარ შემიძლია სიცოცხლე!

— ღმერთების ნება ეს ყოფილა, ჯერ მე დავდგომოდი საიქიოს გზას! — მიუგო ენქიდუმ. — ჩემზე ნუ დარდობ, საიქიოში კარგად ვარ. შენ კი მეფე ხარ და მეფობა გმართებს სიცოცხლის ბოლომდე. ცხოვრება მაინც მოკლეა და შენი იმქვეყნად წამოსვლის დროც მალე დადგება. მოხვალ მაშინ ჩემთან, ისევ შევხვდებით ერთმანეთს და სამუდამოდ ერთად ვიქნებითო. ამ სიტყვებით გადაეხვია ენქიდუ გილგამეშს და განშორდა.

მიხვდა გილგამეში, რომ ენქიდუს ვეღარ დაიბრუნებდა, გაიმაგრა გული და ურუქის მართვა განაგრძო. იგი გულმოწყალე და ბრძენი მეფე გახდა, თუმცა მეომრის მხნეობა და სიმამაცე არ მოჰკლებია. ხალხიც ბედნიერი იყო და ლოცავდა მეფეს. თავად გილგამეში კი იმ იმედით ცხოვრობდა, რომ კვლავ შეხვდებოდა თავის მეგობარს და მაშინ მათ ვეღარაფერი დააშორებდა.





ନୂତନ ପ୍ରକାଶନ ମାର୍ଗଜୀବନ ଲେଖକଙ୍କାର



თქვენს წინაშეა ძველბაბილონური მითი იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა დიდმა ღვთაება მარდუქმა სამყარო. ბაბილონური ვერსიით, შემოქმედი ღვთაება მარდუქი იშვა ოკეანის წყლებისგან — თიამათისგან, რომელიც ქაოსის ძალების განსახიერებაა, ქმნის სამყაროს და ოკეანის წყლების განკვეთის შედეგად ამყარებს წესრიგს. იქმნება ცა, მიწა და ადამიანი. მისი გმირობის დაგვირგვინებაა ბაბილონის იშთარის ტაძარი.

სერია მომზადებულია არსებულ ლურსმულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგიის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ლამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები.



ჰომონ შეშძნ შჩრდუსშა სუშზნი

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ზემოთ ცა არ არსებობდა და ქვემოთ დედა-მინა. იყო მხოლოდ აფსუ და თიამათი. აფსუ მიწისქვეშა წყლების მეუფე გა-ხლდათ, თიამათი — ზღვის ქალღმერთი. ცხოვრობდნენ ულად, მარტოდმარტო, წყნარად და უზრუნველად. ბოლოს მოეწყინათ ასეთი ყოფა, თქვეს, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, თავი რით შევიქციოთო. ადგნენ და აი რა მოიფიქრეს: თავ-თავისი წყალი ერთმანეთს შეურიეს. მაშინ ნარმოიშვა ორი ღვთაება — ლახმუ და ლა-ხამუ. იზრდებოდნენ ისინი, ღვთაებრივი სიდიადით ბრწყინდებოდნენ. შემდეგ აფსუმ და თიამათმა შექმნეს ანშარი და ქიშარი, ცისა და მიწის ღვთაებანი. მათაც უხვად მოეფინათ ღვთაებრივი სიდიადე.

გადიოდა დღენი, გადიოდა წლები, მალე ქვეყანას ანშარის ვაჟი ანუ მოევლინა. ანუმ ეა შვა. ეა ძლევამოსილი ღვთაება იყო, ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე მამა ანუ და მამის მამა ანშარი. თავის ტოლი და სწორი არ ჰყავდა და-ძმებს შორის.

გამრავლდნენ ღვთაებანი, ერთად იკრიბებოდნენ და მხიარულობდნენ. მათი ხმაური ცას სწვდებოდა. მაშინ შეწუხდნენ აფსუ და თიამათი, შვილების ურიამულმა ღვთაებრივ სასახლეში არეულობა გაამეფა.

ვეღარ უძლებდა მშობელი თიამათი ამ ხმაურს, შეწუხდა ფრიად. ხსნა არსაიდან იყო, მეტად გამრავლდნენ ღვთაებანი, ვინ გაუმკლავდებოდა მათ? ჩაიქნია ხელი თიამათმა, შეეგუა ხმაურს.

მაგრამ აფსუ ასე იოლად ვერ თმობდა სიმშვიდეს. მოიხმო თავისი ვეზირი მუ-მუ და რჩევა ჰკითხა: „მუმუ, ჩემო ერთგულო მსახურო, მუდამ გვერდში მდგომა, წამომყევი, თიამათს დავეთათბიროთ, როგორ მოვულოთ ბოლო ამ უბედურებას”.



მართლაც გასწიეს აფსუმ და მუმუმ თიამათთან, დაუსხდნენ პირისპირ და ლვთაებრივ ვაჟებზე ჩამოუგდეს საუბარი. აფსუმ თიამათს მიმართა: „მეუღლევ ჩემ! ჩვენი შვილების ხმაური აუტანელია, დღისით მოსვენება დავკარგე და ღამით ძილი. მსურს, მათ ამ ქმედებას ბოლო მოვუღო, როგორმე გავფანტო ისინი, რათა სიმშვიდემ დაისადგუროს ჩვენს სასახლეში და შევძლოთ კვლავ წყნარი ძილი“.

თიამათს გული მოუკლა მეუღლის სიტყვებმა. ხმაური კი ანუხებდა, მაგრამ შვილები დასაღუპად არ ემეტებოდა. შეეხვენა აფსუს: „ვით შევძლოთ ჩვენივე შექმნილის განადგურება? თუნდ მათი ქცევა არ მოგვწონდეს, ხელი როგორ უნდა მოგვიბრუნდეს მათზე?“

დაფიქრდა აფსუ. მაშინ ვეზირი მუმუ მიუჯდა, მხარზე ხელი დაადო და ასე ურჩია: „აფსუ, მამავ ჩვენო! გირჩევ, ალკვეთო ეს უსაქციელობა, ნუ დაეთანხმები თიამათს, იფიქრე, დღე და ღამ მოსვენება დაკარგული გვაქვს“.

აფსუს გულში ბოროტმა დაისადგურა და ვეზირის სიტყვები სწორედ რომ ეამა ფრიად. მეტი რა დარჩენოდა თიამათს, დამორჩილდა მეუღლის სურვილს.

მალე მშობელთა თათბირის ამბავი ლვთაებრივმა ვაჟებმა შეიტყვეს, გაოცდნენ და შეშტოთდნენ, არ მოელოდნენ ასეთ განაჩენს. ვერ მიხვდნენ, ასე რად გაბოროტდნენ აფსუ და თიამათი, რატომ სურდათ მათი დაღუპვა. ჩავარდნენ საგონებელში და არ იცოდნენ, რა ეღონათ.

მაშინ ივაჟკაცა ეამ, ანუს ვაჟმა, ყველაზე გონიერმა ლვთაებათა შორის. მიეპარა აფსუს უჩუმრისპირად და სამუდამო ძილს მისცა. გვირგვინი თავად დაიხურა და მის სასახლეში გაბატონდა. ვეზირი მუმუ კი დააბა და სასტიკად მოექცა. შემდეგ კი, როდესაც მტერზე გაიმარჯვა, დამშვიდდა და დაცხრა. მეუღლე დამქინასთან ერთად აფსუს სასახლეში დაბინავებულმა, ბედნიერ ცხოვრებას მიჰყო ხელი.



გავიდა ცოტა ხანი. ეამ და დამქინამ ვაჟი შვეს, რომელსაც მარდუქი უწოდეს... ვაჟკაცი, ახოვანი, უძლეველი და ყოვლად ბრძენი გახლდათ ღვთაებათა შორის, ათი ღვთაების ძალა ეპყრა. უზარმაზარი იყო, ნამდვილი გოლიათი, ძნელად თუ ააყოლებდი თვალს. ოთხი ყური და ოთხი თვალი ება. პირიდან ცეცხლს აფრქვევდა.

მაშინ გააჩინა ბაბუა ანუმ ოთხი ქარი, მარდუქს გადასცა და უბრძანა: „შვილო ჩემო, აიძულე იქროლონ!“ შეპბერა სული მარდუქმა და დაინყეს ქარებმა ქროლვა.

თიამათი საყვარელი მეუღლის დაკარგვას გაეშმაგებინა, მოსვენება დაეკარგა. ეახლნენ მაშინ ბოროტი ღვთაებანი ცალად დარჩენილ ქალღვთაებას და ასეთი რამ ურჩიეს: „დედავ თიამათ, შენი მეუღლის მკვლელობისთვის შური უნდა იძიო. ასე მშვიდად რად მიიღე მარცხი? რად არ იღონე არაფერი? ახალი საფრთხე გემუქრება — ღვთაებანი ცუდს გიპირებენ. რაღას უდგახარ, მიდი, შეერკინე მტერს, უკან რად იხევ“.

ისე აურიეს გონება ბოროტმა ღვთაებებმა თიამათს, რომ ისიც დაჰყვა მათ ნებას. მაშინ შექმნა ქალღვთაებამ ურჩხულთა ლაშქარი: თმიანი ურჩხული, ველური ძალლი, კაცი-კიბო, თევზეკაცა, ხარკაცა და ექვსი ავსული. სულ თერთმეტნი იყვნენ, ზარდამცემი იარაღი ეპყრათ ხელთ.

თიამათმა კრება მოიწვია, რათა ბრძოლისთვის მომზადებულიყო. ბოროტ ღვთაებათა შორის ქინგუ გამოარჩია, ტახტზე დასვა. სწორედ მას ჩააპარა ლაშქრის მეთაურობა, ბედის ფირფიტა მკერდზე ჩამოჰკიდა და ასე უბრძანა: „აი, ქინგუ, ყველა ღვთაებას შორის გამოგარჩიე, ბედის ფირფიტას გაბარებ, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. შენი სიტყვა ამიერიდან კანონი უნდა იყოს ყველასთვის. იყავ რკინასავით მყარი და უდრეკი“.



ისმინა ქინგუმ თიამათის სიტყვა, თავი დახარა და ბედის ფირფიტა ჩაიბარა. მძიმე მოვალეობა იკისრა, თიამათის ლაშქრისთვის უნდა ეწინამძღვრა.

დაიწყო თიამათმა ომისთვის მზადება. აფსუსთვის, თავისი მეუღლისთვის უნდა ეძია შური. საკუთარ შვილებს დაუპირისპირდა.

უწყა ეს თიამათის გეგმების შესახებ. დიდხანს იჯდა თავის სასახლეში მდუმარედ, ფიქრობდა, რა ეღონა. ბოლოს დაიოკა მძვინვარება, გასწია მამა ანშართან და თიამათის განზრახვის შესახებ ამცნო ყველაფერი: „მამავ ჩემო! დედას ჩვენსას, თიამათს, ჩვენი ზიზლი ჩაუდევს გულში. ბოროტმა ღვთაებებმა პირი შეკრეს, გადაიბირეს იგი, ომისთვის ემზადება. თერთმეტი ურჩხული შექმნა, სისხლის ნაცვლად შხამით აუგსო სხეულები, ცეცხლის სამოსით შემოსა. ვინც მათ ხედავს, შიშით გული უსკდება. რა გვეშველება, ვინ ალუდგება მათ, ვინ გაუმართავს ბრძოლას?“

ისმინა ეს ამბავი ანშარმა და ბრაზისგან ტუჩზე იკბინა. მაშინ მიუბრუნდა ეს და მიუგო: „შვილო ჩემო! შენ უნდა იტვირთო ეს საქმე. აფსუს ხომ მოუღე ბოლო, აი, თიამათსაც შენ უნდა მიხედო!“ ეამ მამას შეჰკადრა: „მამავ, მართალია თიამათი ქალია, მაგრამ უძლეველია. იქნებ სხვა გაგზავნო საბრძოლველად? მე არ ძალმიძს მისი დაჯაბნვა“. ანშარმა მაინც სცადა ვაჟის დაყოლიება: „თიამათთან შერკინება შენი ხვედრია, თუ ასე არ გსურს მასთან ომი, ეახლე პირისპირ, შენი სიტყვა მოახსენე, თუ არ გისმინა, თხოვნით მიმართე“.

რაუნდა ელონა ეს, დამორჩილდა მამის სიტყვებს. გასწია თიამათთან, მაგრამ რომ ვერა განწყო რა, უკან დაბრუნდა. მაშინ კვლავ ეახლა მამა ანშარს და განუცხადა: „მამავ, არ განმირისხდე, მაგრამ თიამათთან შერკინება შეუძლებელია. მისმა ხმაურმა შემაშინა და უკან გამოვბრუნდი. იქნებ სხვა წარგზავნო ჩემს ნაცვლად. დროულად იმოქმედე, სანამ იგი თავად დაიძრება ჩვენკენ“.

¶¶¶¶¶¶¶



ანშარი საგონებელს მიეცა. მოიხმო კრება, რათა გადაეწყვიტა, რა ელონათ. ყველა შიშმა მოიცვა, არავის სურდა თიამათთან შერკინება. დამწუხრდა ანშარი, გული შეეკუმშა.

მაშინ ისევ ეამ ივაჟკაცა, ვაჟი მარდუქი იხმო და თავისი გეგმის შესახებ ამცნო: „შვილო ჩემო, სიხარულის მომნიჭებელო! ვიცი, შესძლებ თიამათის დამარცხებას, ეჭვი არ მეპარება შენს სიძლიერეში. მიდი ანშართან და აუნყე, რომ სწორედ შენ ხარ ჩვენი მხსნელიო“.

ეხარა მარდუქს მამის სიტყვები, გადაჰკოცნა და ასე მიუგო: „ნუ დარდობ, წავალ და შეგისრულებ წადილს, თიამათს ვძლევ“.

მართლაც წარსდგა მადრუქი ღვთაებათა კრების წინაშე და განაცხადა: „მე გავწევ თიამათთან საბრძოლველად, მხოლოდ ერთი პირობით: თუ გამარჯვებული დავბრუნდი, თქვენს ხელმწიფედ უნდა მაღიაროთ. ჩემი სიტყვა ამიერიდან კანონი იქნება ყველასთვის“.

ანშარს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. მაშინ აფრინა ვეზირი ქაქა თავის მშობლებთან, რათა მათთვის რჩევა ეკითხა და მარდუქისთვის გზა დაელოცათ. მართლაც, ეახლა ქაქა ლახმუ და ლახამუს და ანშარის სიტყვა მოახსენა. ენიშნათ ღვთაებათ თიამათის ბოროტი ზრახვა. ადგნენ და ანშარისკენ გასწიეს, ეახლნენ ღვთაებათა კრებას და მარდუქს გზა დაულოცეს.

მაშინ ღვთაებებმა მარდუქი თავიანთ ხელმწიფედ აღიარეს. გამოსაცდელად კი აი, რა დაავალეს: „ბრძანე, ცაზე ვარსკვლავნი გაქრნენ და მერე ისევ გაჩნდნენ“. ბრძანა მარდუქმა და გაქრნენ ვარსკვლავები. ბრძანა მეორედ და ისევ გაჩნდნენ. გაიხარეს ღვთაებებმა, წახეს რა მისი ყოვლისშემძლეობა. თავზე გვირგვინი დაადგეს და ხელთ კვერთხი უბოძეს.

აისხა მარდუქმა მშვილდ-ისარი, სხეული ჭექა-ქუხილით განიმჭვალა. თია-მათის შესაპყრობად ბადე მოქსოვა. წინ ოთხი ქარი წაიმძღვანა: სამხრეთის, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის. თავად საბრძოლო ეტლზე ამხე-დრდა. ერთ ხელში კვერთხი ეპყრა, მეორეში — შხამიანი მცენარე.

იხილა თიამათმა მომავალი მარდუქი და შედრკა. მაშინ ულრიალა მარდუქმა: „რად განიზრახე ბოროტი შვილების წინააღმდეგ? გაემზადე! ერთი-ერთზე უნდა შეგერკინო“.

დადგა ერთმანეთის პირისპირ ორი ძლევამოსილი ღვთაება. მარდუქმა ბადე მოიქნია და თიამათი შიგ გამოამწყვდია. ცეცხლოვანი ქარი მიაყოლა მისკენ. გააღო თიამათმა პირი, შეუშვა ქარი, პირის დახურვა კი ვერ შეძლო. მოედო ცეცხლი მთელ სხეულს, მუცელი გაუხვრიტა ქალღვთაებას. მაშინ მოუტრიალდა მარდუქი ქინგუსა და მის ამალას, ყველა ბადეში გამოკრა და სიცოცხლე მოუ-სწრაფა. მერე კი მკვდარ ქინგუს ბედის ფირფიტა მკერდიდან ჩამოგლიჯა და თავად ჩამოიკიდა.

როდესაც ყველა ავსული დაამარცხა, კვლავ თიამათს მიუბრუნდა და ფეხი მუცელზე დაადგა. სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა.

ეუწყათ ღვთაებათ მარდუქის გამარჯვება, გაიხარეს სულით და გულით. ძლვენით აავსეს ყოვლისშემძლე ხელმწიფე. მაშინ მადრუქმა თიამათის გვამი ორ ნაწილად გაყო, ერთი სამყაროს ცად აქცია, მეორე კი — მიწად.

შემდეგ ცაზე ვარსკვლავები გააჩინა, დრო წლებად დაყო. შემდგომ შექმნა ღრუ-ბლები. თიამათის თვალებიდან ორი მდინარე გამოვიდა — ევფრატი და ტიგროსი.

როდესაც ღვთაებებმა ყოველივე ეს იხილეს, მადლიერებით აღივსნენ. დედა დამქინამ გულში ჩაიკრა გამარჯვებული შვილი.

მაშინ მიმართეს ღვთაებებმა მარდუქს: „მეფეო, ამიერიდან შენ ხარ ჩვენი ხე-ლმწიფე, გვიბრძანე, შენი მონა-მორჩილნი ვართ“.

მიუგო მათ მარდუქმა: „უმშვენიერეს სასახლეს ავაგებ, სადაც ყველა ჩვენგანისთვის იქნება ადგილი. მას ბაბილონს ვუწოდებ — ღვთაებათა დიდე-ბულ სამყოფელს. მაგრამ კიდევ ერთი წადილი მიდევს გულში, მსურს სისხლისა და ძვლისგან ადამიანი შევქმნა, რათა ღვთაებათ ემსახუროს“.

მართლაც, შექმნა მარდუქმა ადამიანათა მოდგმა. ღვთაებანი კი ქალაქ ბაბი-ლონის მშენებლობას შეუდგნენ, ერთ წელს აგურებს ამზადებდნენ, მეორე წელს შენობებს აგებდნენ. მალე აიგო უმშვენიერესი ბაბილონი — ღვთაებათა და ადამიანათა სამყოფელი. ქვეყნად მშვიდობა სუფევდა, ყველა თავისას იღწვოდა. ადამიანები შრომობდნენ ღვთაებათა გულის მოსაგებად და ისინიც წყალობას არ აკლებდნენ ერთგულ მსახურთ.



ԵՐԵՎԱՆԻ ԿՐՈՆԱ



სინუხეტის თავგადასავალი შეიქმნა ეგვიპტეში ძვ.წ ॥ ათას-ნლეულში და ძველეგვიპტური ლიტერატურის შედევრს წარმოადგენს. სინუხეტის ამბავი მოგვითხრობს ეგვიპტელი დიდებულის — სინუხეტის და ფარაონ სენუსერტ I-ის ამბავს. სინუხეტის ამბავი მსოფლიოში უძველესი ნაწარმოებია, სადაც მოთხრობილია არა რომელიმე მეფის ან ლეგენდარული გმირის, არამედ უბრალო ადამიანის ისტორია და აღწერილია მისი ემოციები — შიში, ნოსტალგია, დარდი სიცოცხლის უცხო ქვეყანაში დასრულებაზე. უცხო ქვეყანაში დასაფლავება ეგვიპტელთათვის ტრაგედიას, ღმერთების უდიდეს სასჯელს წარმოადგენდა.

სერია მომზადებულია არსებულ ტექსტებზე დაყრდნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგის განყოფილებაში.

ტექსტი შეადგინა მაია ღამბაშიძემ
ნინო სამსონიას ილუსტრაციები



სინახეალის ჩაბაზონი

ამბობენ, სამშობლოს სიყვარული ძნელი საქმეა.

აი, წავა ვინმე უცხოეთში და ჯერ ფეხი არ დაუდგამს იქაურ მიწაზე, უკვე
შინისკენ მოუწევს გული.

ალბათ მუდამ ასე იყო, და ასეც იქნება, რადგან მამულის მონატრება ადამიანის გულში არასოდეს განელდება.

ძვირფასო მკითხველო, თქვენს წინაშეა 35 საუკუნის წინათ დაწერილი ძველეგვიპტური ისტორია სამშობლოს მოტრფიალე კაცის შესახებ.

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. ძველ ეგვიპტეს განაგებდა ფარაონი ამენემხეტი. იგი ბრძენი და გულმოწყალე მმართველი იყო, მაგრამ მის ქვეყანაში მუდამ არ ეულობა სუფევდა. როგორ არ ეცადა ფარაონი, გაერთიანებინა



ეგვიპტე, მშვიდობა და წარმატება მოეტანა ქვეყნისთვის, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო. ფარაონს აურაცხელი მტერი ჰყავდა. იგი მუდამ საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან მის მოსაკლავად წამდაუწუმ შეთქმულება ეწყობოდა. ამ შეთქმულებებს დიდი თავადები ანყობდნენ, რომლებსაც ფარაონის ტახტის ხელში ჩაგდება მოესურვებოდათ.

მართლაც, თავადების ღალატს ბოლო არ უჩანდა. ფარაონმა იცოდა, რომ თუ რომელიმე მათგანი სამეფო ტახტს ხელთ ჩაიგდებდა, ქვეყანაში მშვიდობა არასდროს დამყარდებოდა. რა აღარ იფიქრა ამენემხეტმა, როგორ არ აწონ-დაწონა ეს ამბავი და ბოლოს აი, რა გადაწყვეტილება მიიღო: ადგა და თავისი ვაჟი სენუსეტი დაადგინა თანამმართველად. ფარაონის გარდაცვალების შემდეგ სწორედ სენუსეტი გახდებოდა ტახტის მემკვიდრე. ფარაონს სწამდა, რომ მისი ვაჟი მოახერხებდა ყოველგვარი ამბოხის ჩახშობას.



მართლაც, ფარაონის წინასწარმეტყველება ახდა. გავიდა ათი წელი და შეთქმულებმა იგი თავის სასახლეში მოკლეს.

ამასობაში მისი ვაჟი სენუსერტი ლიბიაში, ტემეხების ტომის წინააღმდეგ ლაშქრობას მეთაურობდა. როდესაც მტერი საბოლოოდ დაამარცხა და ეგვიპტეში დიდძალი ნადავლითა და ტყვეებით ბრუნდებოდა, შუალამეს მაცნეები ეახლნენ და უფლისნულს მამის საზარელი მკვლელობის ამბავი საიდუმლოდ ამცნეს.

უფლისნულის დამცველთა შორის იყო ახალგაზრდა მეომარი, სახელად სინუხეტი, რომელმაც ამენემხეტის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების შესახებ იმაზე მეტი იცოდა, რაც უნდა ცოდნოდა. როდესაც მაცნეები იხილა, მიხვდა, რომ თებეში მომხდარი ამბავი უნდა მოეხსენებინათ სენუსეტისთვის, ამიტომ სამეფო კარავს უკნიდან მიეპარა, გარშემო მიმოიხედა და როდესაც დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, კარავი ხანჯლით გაჭრა და მიაყურადა.



გაიგონა სინუხეტმა, როგორ შეატყობინეს მაცნეებმა სენუსერტს მამამისის სიკვდილის ამბავი და კიდევ ის, რომ ამიერიდან უკვე იგი უნდა გამხდარიყო ეგვიპტის ფარაონი: „სასწრაფოდ უნდა გაქუსლო დედაქალაქისკენ“, — ეუბნებოდნენ მას მაცნეები, — „ლაშქარს არ გააგებინო, რაც მოხდა. მხოლოდ რჩეულ მეომრებთან ერთად გასწიე დაუყონებლივ. იმ დროს, როდესაც ჩვენ თქვენკენ ვიჩქაროდით, სხვა მაცნეები ეგვიპტის ერთგულ მმართველებთან გაემურნენ, რათა მამაშენის გარდაცვალების ამბავი არ გამუღავნდეს მანამ, სანამ შენ, სენუსერტ, — სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ძლიერება იყოს შენთან! — თებეში არ გამოცხადებულხარ ფარაონად!“.

როდესაც სინუხეტმა ყოველივე ეს მოისმინა, შიშმა შეიპყრო: მემფისში რომ წასულიყო სენუსერტთან ერთად, მაშინვე გამუღავნდებოდა, რომ მან დიდი ხანია, ფარაონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ამბავი იცოდა.


¶¶¶¶¶¶



ხოლო ლაშქართან დარჩენა რომ ეთხოვა, მაშინაც ეჭვს შეიტანდნენ და დასჯა არ ასცდებოდა.

შეიძლება, არაფერი მსგავსი არც მომხდარიყო, მაგრამ სინუხეტი ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ ბანაკიდან ჩუმად გაპარვა ჩაიდო გულში. ჯერ დაიცადა, სანამ დაინახავდა, რა მიმართულებით ივლიდა ჯარი და თავად მოპირდაპირე მხარეს გასწია — სამხრეთით, უდაბნოს მიაშურა, ცდილობდა, თავი აერიდებინა ქალაქებისა და სოფლებისთვის.

როდესაც იმ ადგილს მიაღწია, სადაც ნილოსი მრავალ არხად იტოტება დელტაში, ერთი კაცი შემოხვდა, რომელსაც მისი შეეშინდა — ყაჩალი ეგონა. სალამოს იმ ადგილს მოუახლოვდა, სადაც დღეს ქალაქი ქაირო დგას. აქ მან ძველი უნიჩბო ნავი იპოვნა. ქარი დასავლეთიდან ქროდა. მაშინ მიენდო ქარს, ნილოსს აღმოსავლეთით დაბლა დაუყვა და ქალაქს მთელ მილზე დაშორდა. მალე სუეცის არხი გადაკვეთა



და სინას უდაბნოს მისცა თავი. აქ კინალამ წყურვილისგან მოკვდა. მოგზაურმა გადარჩენის იმედი დაკარგა, ძირს დაეცა და ვეღარ დგებოდა. სწორედ ამ დროს ნახირის ბლავილი შემოესმა. მიხოხდა აზიელ მეჯოგეებთან. ძალიან სუსტად იყო.

მეჯოგეების უფროსმა მასში ეგვიპტელი შეიცნო და ჩაცმულობით მიხვდა, რომ უბრალო კაცი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ კრძალვით მოექცა, რძე და წყალი დაალევინა, შემდეგ კი, როდესაც მოძლიერდა, სხვა საჭმელიც შესთავაზა.

ჯანზე მოსულმა სინუხეტმა მადლობა მოახსენა მეჯოგეებს და გზა განაგრძო. მალე ქალაქ ბიბლოსს მიაღწია, სადაც ეგვიპტელები ყოველთვის დიდი პატივით იყვნენ მიღებულნი. აქ იგი ცოტა ხნით დარჩა. შემდეგ ისევ აღმოსავლეთით განაგრძო გზა და მიადგა რეტენუს ქვეყანას, რომელსაც მეფე ამიენში მართავდა.

ამიენშიმ გულთბილად მიიღო იგი და ასე მიმართა: „მოდი, იცხოვრე ჩემს ქვეყანაში, ერთი ეგვიპტელი მსახური მყავს და აქ შენ მშობლიურ ენაზე შეძლე






მასთან გაბაასებას. როგორც ვატყობ, ეგვიპტეში მნიშვნელოვანი კაცი უნდა იყო. მითხარი, რატომ მიატოვე შენი სამშობლო. ხომ მშვიდობაა ფარაონის კარზე?“

მაშინ სინუხეტმა მიუგო: „ფარაონმა ამენემხეტმა ეს მიწა დატოვა და ჰორიზონტს შეუერთდა. იგი ზემოთ წაიყვანეს ღვთაებებმა, მე კი გამოვიქეცი, ქვეყანაში არეულობის შემემინდა. ძალიან ერთგული ვიყავი ფარაონისა და საშიშროება მეც მელოდა — მხოლოდ და მხოლოდ ეს იყო მიზეზი ეგვიპტის დატოვებისა.“

მაშინ ამიენშიმ მიუგო: „ალბათ არ გაგიგია, რომ ეგვიპტეში ახლა ახალი ფარაონია, სენუსერტი, ამენემხეტის ვაჟი. მან დაიკავა ორი ქვეყნის ტახტი, ორი გვირგვინი დაიდგა თავზე — ზემო და ქვემო ეგიპტისა. ამის შემდეგ ქვეყანაში სიმშვიდე დამყარდა, შური და მტრობა მოისპო, მაგრამ როგორ ფიქრობ, ეგვიპტეში მშვიდობა სამუდამოდ დამყარდა?“

სინუხეტი მიხვდა, რომ ამიენში მას რჩევას ეკითხებოდა — ღირდა თუ არა



ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრება. რეტენუ ეგვიპტეს ჰყავდა დამორჩილებული და მეფეს გულში ჩაედო ქვეყნის გათავისუფლება. მაშინ სინუხეტმა ასე მიუგო: „თუ ეგვიპტეში სენუსერტია ახლა ფარაონი, იქ მტრობა ან ომი არ იქნება. ამ ქვეყნად სენუსეტი შეუდარებელია. ის თავად წარუდღვა ჯარს ლიბიელების წინააღმდეგ და დაამარცხა. იგი ის ფარაონია, რომელიც ეგვიპტეს საზღვარს გაუფართოვებს. ამიტომ ჩემი რჩევაა, გაგზავნო მასთან მაცნენი, რათა წინ მიწა დაუკოცნონ. ერთი რამ გახსოვდეს: იგი არ დაესხმის თავს იმ ქვეყანას, რომელიც ეგვიპტის ერთგულია.“

მაშინ მეფე ამიენშიმ თქვა: „როგორი ბედნიერი უნდა იყოს ქვეყანა ასეთი ძლიერი და დიდი ფარაონის ხელში! ისე მოვიქცევი, როგორც მირჩევ. რაც შეგეხება შენ, დარჩი ჩემთან და გაუძეხი ჩემს ლაშქარს, მე შენ ჩემს დიდებულად გაქცევ!“

ასე დარჩა სინუხეტი რეტენუს ქვეყანაში და ცხოვრობდა ბედნიერად. მალე

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



მეფის უფროს ქალიშვილზე დაქორწინდა. მეფემ უძვირფასესი სასახლე უბოძა, რომლის ეზოში ათასნაირი ხეხილი ხარობდა, ყურძენი კი ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ღვინო წყალზე უხვად იყო. პურისა და ქერის ყანებს თვალს ვერ გააწვდენდი. სინუხეტს აქამდე არ ენახა ასეთი სიმდიდრე იმის მიუხედავად, რომ არასდროს მოჰკულებია ფუფუნება.

ეგვიპტელი რეტენუს ქვეყანაში თავს კარგად გრძნობდა. იგი ამიენშის ლაშქრის უფროსად იქცა, იცავდა ქვეყანას, თავს ესხმოდა მტრულ ქვეყნებს, საიდანაც მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა — მონებითა და ალაფით ხელდამშვენებული. ასე რომ, მეფე ამიენშის იგი ძლიერ შეუყვარდა, საკუთარი ვაჟივით ევლებოდა თავს. ბოლოს კი, მეფე-დედოფალმა გადაწყვიტა, ტახტის მემკვიდრედ ექციათ სინუხეტი.

მაგრამ ქვეყანაში მავანთ არ ეჭაშნიკებოდათ სინუხეტის განდიდება. ზოგს არ



სურდა, რომ უცხოელს ემართა რეტენუ. დაიწყო საუბარი აჯანყებაზე. როდესაც მეფე ამიენშიმ ამის შესახებ შეიტყო, დამწუხრდა და სინუხეტის მოხმობა ბრძანა. ასე უთხრა მას: „ერთ ჩემს დიდებულს შენი შეურაცხყოფა განუზრახავს. როგორ ფიქრობ, რა მოვიმოქმედოთ მის ნინააღმდეგ?“

მაშინ სინუხეტმა უპასუხა: „ჩემო ბატონო! მე იგი არასდროს არ მინახავს, მის სახლს არასდროს ვწვევივარ. როგორც ვატყობ, მას შური ამოძრავებს. თუ შენ გესიამოვნება, შევებრძოლები. თუ გავიმარჯვე, კვლავ შენს სამსახურში დავრჩები, ხოლო თუ დავმარცხდი, მაშ ჩემზე ძლიერი ყოფილა და ქვეყნის ლაშქრის მართვაც მას უნდა ჩააბარო“.

დაუჯდა ჭკუაში მეფეს სინუხეტის სიტყვა. დაწესდა შერკინება რეტენუს მთელი მოსახლეობის თვალწინ, დიდ ველზე, მეფის თანდასწრებით.

სინუხეტი მთელი ღამე ემზადებოდა, ლესავდა თავის იარაღს. ბრძოლა დიდ





ველზე შედგა, სადაც აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი. გამოვიდა სინუხეტი და ყიუინით შეეგება მას ყველა: „შეხედეთ, შეხედეთ, როგორი მეომარია, ვინ დაუდგება მის სიმამაცეს წინ!“, — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან. მაგრამ გამოჩნდა მოწინააღმდეგეც და ხალხმა გაოგნებისგან ხმა გაკმინდა — მეტად ძლიერი ჩანდა იგი.

დაიწყო ბრძოლა. მეომარმა სინუხეტს ისრები დაუშინა და ხელშუბი ესროლა. მაგრამ სინუხეტი ფეხმარდობამ და გამჭოლმა თვალმა იხსნა — მარჯვედ აიცილა მტრის ისრები და მათ თავისი ფარი დაუხვედრა. მაშინ საბრძოლო ცული მოიმარჯვა მტერმა და მისკენ გამოემართა. მოუბრუნდა სინუხეტი და ისარი ესროლა. მეომარმა ფარი დაუხვედრა. მაშინ სინუხეტმა ხელშუბი სტყორცნა, მეომარმა იგი ვეღარ აიცილა, წაბორძიკდა და სახით მინაზე დაეცა, საბრძოლო ცული ხელიდან გაუვარდა. მაშინ აიღო სინუხეტმა ცული და მოწინააღმდეგეს ერთი დარტყმით წააცალა თავი.






რეტენუს მთელი მოსახლეობა შეძახილებით შეეგება გამარჯვებულს, მეფემ კი გულში ჩაიკრა იგი, თან გახარებული იძახდა: „ეს არის კაცი, რომელიც ქვეყნის მართვის ღირსია!“

ასე იქცა სინუხეტი რეტენუს ქვეყნის თანამმართველად, ხოლო მეფის გარდაცვალების შემდეგ იგი მეფედ აკურთხეს.

გადიოდა დრო, მაგრამ რაღაც არ ასვენებდა უკვე სიბერემილწეულ სინუხეტს — სამშობლო ენატრებოდა ძლიერ. ვერა და ვერ დაივიწყა ეგვიპტე. აქ, უცხო ქვეყანაში, ყველა ნატვრა და სურვილი უსრულდებოდა, თითქოს ყველაფერი ჰქონდა — დიდება, ოჯახი, სიმდიდრე, მაგრამ მაინც აკლდა რაღაც... ერთადერთი ნატვრა დარჩენოდა — სანამ ცოცხალი იყო, კიდევ ერთხელ დაედგა ფეხი ეგვიპტის მინაზე და თებეს აკლდამაში დამარხულიყო....

ფარაონმა სენუსერტმა იცოდა, რომ რეტენუს მეფე ის სინუხეტი იყო, რომელიც

¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶



ერთ დროს სამეფო დაცვაში მსახურობდა, მაშინ მასთან მაცნე აფრინა და ერთგულება შეჰქოცა, რაზეც სინუხეტმა ერთგულების ფიცითვე უპასუხა.

სწორედ მაშინ სინუხეტმა გადაწყვიტა, პატიება ეთხოვა ფარაონისთვის, მისწერა წერილი, უამბო, თუ როგორ მიატოვა სამეფო სამსახური იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არეულობა სუფევდა. ახლა იგი ფარაონს შეწყალებას და ეგვიპტეში დაბრუნების ნებართვას სთხოვდა, რათა სიბერე იქ გაეტარებინა.

მოულოდნელად სენუსერტმა პასუხი მისწერა და შესთავაზა სამეფო დაბრუნებულიყო, როგორც დიდი თავადი და სანდო მრჩეველი. იგი ასე ამთავრებდა: „დაბრუნდი ეგვიპტეში, რათა კვლავ იხილო ის ქვეყანა, სადაც დაიბადე და ის სასახლე, სადაც ერთგულად მემსახურებოდი იმ დღეებამდე, სანამ ოსირისი მამაჩემს ფარაონებთან წაიყვანდა. შენ ახლა ბერდები, უკვე აღარ ხარ ახალგაზრდა, რომელიც თავგადასავლებს ეძიებს. არ მინდა, რომ სიკვდილმა მანდ, ასე შორს გინიოს.



დაბრუნდი ეგვიპტეში და როდესაც დღე მოგივა, დიდებულივით დაგკრძალავთ თებეში“.

მაშინ გაიხარა სინუხეტმა. გამოეთხოვა ცოლ-შვილს, თავად კი ეგვიპტის გზას დაადგა. მიდის, მიდის, თითქოს ფეხები თავისით მიჰქრიან წინ... მალე სამშობლოს საზღვარსაც მიადგა. ბედნიერებისგან მეცხრე ცას ეწია. მეტი აღარაფერი სურდა — უკვე სამშობლოში იყო...

საზღვარზე ფარაონის ელჩები მოეგებნენ და დიდი ზარ-ზეიმით მიაცილეს მდინარე ნილოსის ნაპირამდე. აქ მათ დიდებული გემი ელოდათ, რომელმაც სინუხეტი ფარაონთან მიიყვანა.

შედგა ფეხი სინუხეტმა სასახლეში, ეახლა ფარაონს და ტახტის წინ მიწაზე მკვდარივით დაეცა.

მაშინ სენუსერტმა მსახურთ უბრძანა: „ფეხზე წამოაყენეთ და თქვას, რისი თქმაც სურს!“ შემდეგ მას მიმართა: „ჩემო ძმაო, შენ სახლში დაბრუნებულხარ. სად აღარ იმოგზაურე, მოიარე უცხო ქვეყნები და როდესაც ხანში შეხვედი, სამშობლოს დაუბრუნდი. იცოდე, როდესაც შენი იმქვეყნად წასვლის ჟამი დადგება, იქ დაგკრძალავ, სადაც ეგვიპტელი ფარაონები და დიდებულები განისვენებენ. კეთილი იყოს შენი დაბრუნება, სინუხეტ!“

მაშინ წამოდგა სინუხეტი, ფარაონს თვალი გაუსწორა და მოუგო: „ხედავ, შენს წინაშე ვდგავარ, ჩემი სიცოცხლე ამიერიდან შენ გეკუთვნის, რაც გინდა, ის მიყავი, შენი ხმალი — ჩემი კისერიო!“

ჩამოვიდა ფარაონი ტახტიდან და გადაეხვია სინუხეტს. გამოეგება გახარებული დედოფალი, შემოეხვიენ სხვა დიდებულებიც და ფარაონმა განაცხადა: „ამიერიდან სინუხეტს ჩემს მრჩეველად და თანამმართველად ვნიშნავ. მე მას იმ მიწებსა და სიმდიდრეს ვუბრუნებ, რაც სამშობლოდან წასვლამდე ეკუთვნოდა. რა ბედნიერებაა, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა!“

ასე შეიქმნა სინუხეტი ეგვიპტის დიდებულად და ფარაონის მრჩევლად, იმ ფარაონისა, რომელსაც ერთ დროს გაექცა. ამიერიდან იგი ერთგულად ემსახურებოდა სენუსერტს. თავისი თავგადასავალი კი აკლდამის კედლებზე ამოატვიფრინა, რათა თაობიდან თაობაში საუკუნოდ გადაცემულიყო ამბავი სამშობლოს მოტრფიალე კაცისა...



¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶¶